საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 ივლისი, 2013 წელი.

№126 (7253)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველო, ისლამიზაციიდან ჰედონისტიზაციამდე?..

5

3

მეგის ქარდავამ 27 წლის გოგო სასტიკად აწამა

❹ ესეც თქვენი „დემოკრატია“!

ანუ როცა სიტყვა სხვაა, საქმე კი – მართლაც სხვა

ნაციონალები ოორდიამაც განირა

5

„ამ ბრძოლაში დათმობა არ იქნება, ძალიან სერიოზული ლაშქარი ვართ“

8

საქართველო კოჰაბიტაციისთვის მზად არ იყო

2

პაატა ბურჭულაძე უარს ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატობაზე!

6

9

ნათია მოგელაძეს ვერ ელევიან

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველო კოჰაბიტაციისთვის მზად არ იყო

„არჩევნების შემდეგ ქართული საზოგადოება უფრო თავისუფალი გახდა“, — ამ სათაურით აქვეყნებს გერმანული გამოცემა Deutsche Welle ინტერვიუს საქართველოში გერმანიის ელჩთან ორტვინ ჰენინგთან.

როგორც ორტვინ ჰენინგმა გერმანულ გამოცემასთან საუბრისას აღნიშნა, ის გამოწვევები, რომელიც საქართველოს წინაშე 90-იანი წლებიდან მოყოლებული დგას, საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც აქტუალურია.

— საქართველო ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას ცდილობს. გარდა ამისა, საქართველომ უნდა იპოვოს საკუთარი ადგილი გლობალიზებულ მსოფლიოში და ამ ყველაფერის კეთება ქვეყანას ერთდროულად უწევს, რაც საკმაოდ რთულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპულ სახელმწიფოებს ამისთვის გრძელვადიანი პროცესი დასჭირდათ, — აღნიშნა გერმანელმა დიპლომატმა.

ორტვინ ჰენინგმა ასევე განაცხადა, საქართველოში კოჰაბიტაცია ვერ შედგა, რადგან ქვეყანა არც მენტალურად და არც ინსტიტუციონალურად არ იყო ამისთვის მზად.

— საქართველოში აქამდე მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა, ყველაფერს კი სწავლა სჭირდება. კოჰაბიტაცია ყოველთვის რთული პროცესია დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. საქართველოში კი სიტუაციას ართულებს ის, რომ პოლიტიკოსები, მენტალურ დონეზეც კი, მზად არ არიან ოპონენტებთან საუბრისთვის, არათუ მათთან კომპრომისზე. აღსანიშნავია თავად პატრიარქის როლი, რომელიც არცთუ ისე იშვიათად თამაშობს მედიატორის როლს. იყო შემთხვევები, როდესაც ქვეყნის პატრიარქი საქართველოს პრემიერსა და პრეზიდენტს პრაქტიკულად ურთიერთობას აიძულებდა, — აცხადებს გერმანიის ელჩი საქართველოში.

ორტვინ ჰენინგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მიუხედავად ოპოზიციის განცხადებებისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი ეჭვის საფუძველს არ აძლევს.

— მეტიც, ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პლურალიზმი მატულობს. მედიას მეტი თავისუფლება მიეცა, სამოქალაქო საზოგადოება ვითარდება, განათლებისა და იუსტიციის სფეროში ტარდება რეფორმები. ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ქართული საზოგადოება უფრო თავისუფალი გახდა და ქართველები უფრო თამამად გამოხატავენ აზრს. ეს კი გარკვეულწილად იმასთან არის დაკავშირებული, რომ საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის დევნა და მათზე კონტროლი„ — განაცხადა გერმანიის ელჩმა.

„ძალიან მინდა, საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და საქართველომ გააგრძელოს ჭეშმარიტი ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით სვლა. ამის პოტენციალი ქვეყანას ნამდვილად გააჩნია ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა და დაინტერესება ამ კუთხით. თუმცა, ცვლილებები პირველ რიგში, თავად ადამიანებში უნდა მოხდეს. რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრს შეუძლია გამოაცხადოს, ხვალიდან სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი იქნებაო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლე, რომელიც მიჩვეული იყო სახელმწიფოსგან მითითებებს, უცბად შეძლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს ადამიანი ისე აღიზარდა, რომ მისთვის არავის უთქვამს, რომ სასამართლო მესამე ხელისუფლებაა და არც პრემიერს, არც პრეზიდენტს არ აქვს უფლება მას საკუთარი მოთხოვნები წაუყენოს. მენტალურ ცვლილებებს ათწლეულები სჭირდება„, - განაცხადა ორტვინ ჰენინგმა.

გერმანელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ საქართველო გერმანიისთვის ბევრი მიზეზით არის მნიშვნელოვანი. პირველ რიგში კი იმით, რომ საქართველო ერთგვარი გასაღებია სამხრეთ კავკასიასთან და ხიდია ახლო აღმოსავლეთთან.

◎ სტუდენტობა

მეგობრებს დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავთ

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს
საქართველოში
ბატონ რიჩარდ ნორლანდს
ბატონო რიჩარდ,

გილოცავთ, ამერიკის შეერთებული შტატების
დამოუკიდებლობის 237-ე წლისთავს – 4 ივლისს.
გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს, როგორც ოჯახში,
ასევე პირად ცხოვრებაში და წარმატებების მიღწევას
ამერიკელ და ქართველ ერს შორის მეგობრობისა და
მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

უღრმესი პატივისცემით,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მეორე კურსის სტუდენტების სახელით

მარიამ გალდავა, მარიამ ბოხონელიძე
ეკა იაკობაშვილი, დინა გაბალოვა

თბილისი
02.07.2013.

4 ივლისს საქართველოს მეგობარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს დამოუკიდებლობის 237-ე წელი შეუსრულდა. თუ მეგობრის დღესასწაული არ გაიზიარე, მაშინ რა მეგობარი ხარ? — ასე ვიფიქრეთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა და მშვიდობის სიმბოლოს — მტრედის ლოგოთი მისალოცი ბარათი გავუგზავნეთ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ბატონ რიჩარდ ნორლანდს.

სიმბოლურია, რომ ამერიკამ ბოლო 20 დღეში მეორე დღესასწაული აღნიშნა: 14 ივნისს სახელმწიფო დამოუკიდებლობის სიმბოლოს — დროშის დღე. დროშა შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის ინიციატივით შეიქმნა 1777 წელს (მან წელიწადნახევარი იბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ამ ბრძოლამ მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი შეიწირა). მასზე ამერიკის შტატების რაოდენობის ვარსკვლავები განალაგეს, საბოლოოდ, 1960 წელს დროშაზე დღევანდელი ვერსია, 50-ე ვარსკვლავი გაჩნდა ჰავაის 50-ე შტატად გამოცხადების გამო, რაც 4 ივლისს დამტკიცდა.

დროშის დღეს ყველა შტატი სადღესასწაულო ვითარებაში აღნიშნავს. რა კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს მოსახლეობაში ჩვენი დროშის მიმართ ისეთივე პატივისცემა დაგვემკვიდრებინა, როგორც ამერიკაშია! ყველა ქვეყნიდან გადმოვიღოთ ის კარგი, რაც ქართულ ფესვებზე და ტრადიციებზე დაფუძნებით წაადგება ჩვენს ერს.

ქართველი სტუდენტები ჩვენს ამერიკელ თანატოლებს ვულოცავთ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის 237-ე წლისთავს და ვუსურვებთ, რომ თავიანთი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს კეთილდღეობას, ხალხთა შორის მშვიდობას, მეგობრობასა და ბედნიერებას მოახმარონ.

თანაკურსელთა სახელით
მარიამ გალდავა,
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის
მეორე კურსის სტუდენტი.

◎ ინფორმაცია

საკონსტიტუციო პროექტს პარლამენტი სავარაუდოდ სექტემბრის დასაწყისში დაუბრუნდება

პროექტი ითვალისწინებს კონსტიტუციიდან პარლამენტის ადგილმდებარეობის მუხლის ამოღებას, რომელიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისიდან თბილისში დაბრუნებას ითვალისწინებს.

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ინიციირება რამდენიმე თვის წინ მოხდა. პროექტმა საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცედურა გაიარა, თუმცა, პარლამენტში მსჯელობა აღარ გაგრძელებულა.

როგორც „ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, სავარაუდოდ, სექტემბრიდან, როცა პარლამენტში ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვა დაიწყება, მათთან ერთად აღნიშნული პროექტის გატანაც მოხდება.

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საპარლამენტო უმრავლესობას საკუთარი ხმები არ ჰყოფნის და ისინი კონსტიტუციის მისაღებად საჭირო მინიმუმ 100 ხმას, ვერც იმ დეპუტატების მხარდაჭერით აგროვებენ, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობიდან“ გავიდნენ. ამ გარემოების მიუხედავად ირინა იმერლიშვილს იმედი აქვს, რომ ისინი უმცირესობის მხარდაჭერას მიიღებენ.

ინტერპრესი

◎ ფინანსთა სამინისტრო

მერიის დანაშაულებრივ ქმედებებზე კიდევ ბევრი ინფორმაცია იქნება გასაჯაროებული

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, თბილისის მერიის დაკავებულ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაცია გასაჯაროვდება.

როგორც ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, გამოძიება გადაწყვეტს, რა ტიპის ინფორმაციები გასაჯაროვდება და რა — არა.

— გამოძიება იქნება უდავოდ ძალიან გამჭვირვალე, საზოგადოებას ექნება ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოძიება კიდევ რამდენიმე საინტერესო კითხვაზე გასცემს პასუხს. ამის შემდეგ ბევრი ინფორმაცია იქნება საჯარო, გამოძიება გაასაჯაროს ყველა ინფორმაციას და მერწმუნეთ, ძალიან ბევრი არ მოეწონებათ, მათ შორის მერიაში„ — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება დედაქალაქის მერიის მოთხოვნას, რომ მოხდეს მათი თანამშრომლების აყვანის ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელება, ხადურის განმარტებით, კამერა არ არის დაკითხვაზე ადამიანის მიყვანისთვის საჭირო ატრიბუტი.

ვიცე-მერები თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ქუთაისის მერმა დიმიტრი კოპალიანმა ვიცე-მერები ამირან ძოწენიძე და კოტე რატიანი თანამდებობიდან გაათავისუფლა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი ქუთაისიდან იუწყება, ვიცე-მერების გათავისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაში საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი თევდორაძემ გააპროტესტა.

მისი თქმით, ქუთაისის მერმა „მორიგი მარგალიტი გამოაცხო“ და გაათავისუფლა ვიცე-მერები, რომელთა „დანაშაულიც“ მხოლოდ ის არის, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან.

გიორგი თევდორაძესთან ერთად ბრიფინგზე იმყოფებოდნენ უკვე ყოფილი ვიცე-მერებიც. ისინი მერიასთან სამართლებრივი მეთოდებით დავას აპირებენ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● Октябрь в школе.

● მწერალმა შერიდანმა ერთ-ერთ თავის კომედიაში უპატივცემულოდ მოიხსენია ინგლისის პარლამენტი. ამის გამო მას სასამართლომ გამოუტანა სასჯელი: პარლამენტში მუხლმოყრილს, ბოდიში უნდა მოეხადა კანონმდებლისთვის.

შერიდანმა შეასრულა საჭირო რიტუალი, მაგრამ როცა ფეხზე დგებოდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მუხლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და თქვა:

— ღმერთო ჩემო, რა სიბინძურეა ამ დარბაზში.

მართლაც რა სიბინძურეა ამ დარბაზში.

● ქვემო ქართლის კუდ-ის ყოფილი უფროსი, ვაჟა ლელუაშვილის მარჯვენა ხელი, რომელიც შსს-ს ახალმა ხელმძღვანელობამ სამსახურიდან გაათავისუფლა, ცოტა ხნის წინათ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაინიშნა. ზაზა ტატიკიშვილი 2007 წლიდან ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის კუდ-ს. მისი სახელი ბევრ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს, ის ქვემო ქართლის ერთ-ერთი მთავარი ზონდერი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მიტინგების დარბევებში....

● უზენაესი სასამართლოს თქმით გამამართლებელი გადაწყვეტილება ემყარებოდა მხოლოდ საქმეზე წარმოდგენილ მასალებსა და შეჯიბრებითობის უმთავრეს პრინციპს! თქვე უსინდისოებო, საქმეზე წარმოდგენილი მასალების გამო უნდა მიცემულიყვნენ პატიმრობაში, მაგრამ თქვენ ხომ უსამართლოები ხართ!!! ყველას მოგეკითხებათ ერისა და ბერის წინაშე!!!

● ნინია კაკაბაძემ აშშ-ის საელჩოს მიმდებარე ტერიტორია გარედან მოილოცა...

● ციხე შიგნიდან — ძაან მაგრა ტეხავსო. თქვა ვანომ და ბაჩომაც დაუდასტურა.

● მაია ასათიანი პრეზიდენტად, ნანუკა — პარლამენტის თავმჯდომარედ. ტატიშვილი — პრემიერად და ჯანდაცვის მინისტრად! მაესტრო მორისი — თავდაცვაში!!!

● ქეთევან ქარდავა:

„ღმერთო დაიფარე ამერიკა, ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება“.

● ჩაიწვიმა!

● არა რაა ეს ქართული ფეხბურთი, ხო უნდა მიჯირყვნოს ახლა კაცმა, ა?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

არის ასეთი აზრიც!

საქართველო, ისლამიზაციიდან პედერასტიზაციამდე?..

წინამდებარე წერილის თემას ადრე მინდოდა შევხებოდი, მაგრამ ბევრმა რამემ, 17 მაისის „დარბევა“ იქნება თუ ბოლოს ის საზარელი კადრები, რომლებმაც თვალნათლივ დაანახა ყველას ნაციონალური ხელისუფლების მხეცური ბუნება, ყველაფერი გადაფარა!..

ამიტომ ახლა შევეცდები განზრახვის ასრულებას. თუმცა, ვეჭვობ, რომ „ყველაფრის გადამფარავი“ თემების გარდა, ისეთ თემებზეც მომიწევს საუბარი, როგორიც ნატოს გენმდივნის შეურაცხმყოფელი ვიზიტი იყო, თუ ბარაკ ობამას აფრიკული ვოიაჟი, როგორც საქართველოსთან მიმართებიდან გამომდინარე თუ „შემდინარე“ მტკივნეულ თემებზე...

ჯერ იყო და, ჩვენ რომ წესით და რიგით, კაი ხნის „გარდაცვლილი“ გვეგონა, გიორგი თარგამაძეს, აი, დიდმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა „გალსტუკიანი ხვლიკი“ რომ შეარქვა, სახლში ესტუმრაო აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და მთელს ქვეყანას გვაუწყა – „არა, არა, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ ხვლიკუნიასო და შემდეგ ხომ საერთოდ – **„ტიტანთა ჭიდილში დაგვავიწყდა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაც არსებობს ქრისტიან-დემოკრატების სახით“ – აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები, „ბრძანა“ მისტერ ნორლანდმა** (ანუ „ქართული ოცნების“ და სადისტი ნაცების იძულებითი კოჰაბიტაცია ტიტანთა ბრძოლა ყოფილა და თუ ნაცებიც ტიტანები არიან, მაშინ მათი ბელადი, „დაცენტრილი“ სააკაშვილი, მითიური ატლანტი გამოდის, რომელსაც ქართული დემოკრატიის ზესკნელი ძლიერი მხრებით ეჭირა მთელი 9 წელიწადი...)

დიახ, „ბრძანა“ წინწკლებში იმიტომ, რომ ამ კონტექსტში ეს სიტყვა პატივისცემას კი არა, იმას გამოხატავს, რომ 20 წელიწადია, ამერიკის ელჩებს ვინღა დაეძებს, მეთიუ ბრაიზას მსგავსი კაცუნების, გნებავთ, მოადგილის მოადგილეების განცხადებებს ლამის პირდაპირი ბრძანების ძალა ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებებისთვის...

რომელი ერთი გავიხსენოთ: რიჩარდ მაილსი, რომელმაც „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება მოუწყო ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც მართალია გვიან (ანუ, მაშინ, როდესაც არაფრის შეცვლა არ შეეძლო „თეთრ მელას“), მაგრამ მაინც, საკუთარი კაბინეტიდან გააპანღურაო აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სტაჟიანი აგენტი მისტერ მაილსი, თუ სისხლიანი 26 მაისის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ავადსახსენებელი ჯონ ბასი?

ასეა ახლაც – საპარლამენტო ოპოზიცია ხომ დაგვინიშნა 1 ოქტომბერს საძულველი ნაცების სახით ამერიკის ელჩმა (თანაც მითიური, ქართველებისთვის შეურაცხმყოფელი 40 %), ჰოდა, ახლა, აქლემების ბრძოლაში გაჭყლეტილი კოზაკისა არ იყოს, ტიტანთა ბრძოლაში, ემანდ ხვლიკიც არ გაისრისოსო და, ეგ არის ერთადერთი არასაპარლამენტო ოპოზიციაო, რაც, ნაცების პარლამენტში არარსებული პროცენტით შეყვანის, არ იყოს, ძალიან ჰგავს არასაპარლამენტო ოპოზიციის დანიშვნასაც!..

ჰოდა, რით არის რიჩარდ ნორლანდი ვ.ი. ლენინზე ნაკლები? – ვლადიმერ ილიჩმა საბჭოების I ყრილობას მიახალა, „არის ასეთი პარტიაო“, ნორლანდმა იგივე „ქდმ“-ს პარტიაზე „ბრძანა“...

თანაც დააკვირდით, არც საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (სპა), არც ნინო ბურჯანაძე (კახა კუკავა და ჯონდი ბაღათურია ხომ საერთოდ, ვის დაეკარგა ამერიკაში?), არც სალომე ზურაბიშვილი, ანუ, ხსენებაც კი არა, მართლაც ოპოზიციური პარტიებისა, რომელთაც მეტ-ნაკლები, მაგრამ მაინც გარკვეული მხარდაჭერა აქვთ ელექტორატისა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „გალსტუკიანი ხვლიკი“ გიორგი თარგამაძე ყოფილა არასაპარლამენტო ოპოზიციის ვარსკვლავბიჭუნა!!!

ამას დაუმატეთ ისეთი „წვრილმანი“, როგორიც უკლებლივ ყველა ტელეარხზე ლეიბორისტების, ახლების, პაატა დავითაიას, პადოშას, მაია ორჯონიკიძის და ა.შ. სხვა ოდიოზების მეტ-ნაკლები, მაგრამ სტაბილური სიხშირით მიწვევა სხვადასხვა თოქშოუში და ბრიყვისთვისაც კი ნათელი გახდება, რომ არა მხოლოდ კვლავ „ხვლიკის კუდზე შეყენება უნდათ“ ამერიკელებს, ოღონდ ამჯერად პარლამენტს გარეთ, არამედ დასავლეთის ფინანსებზე ჭიპლარით მიბმული ტელეარხები მიზანმიმართულად ეწევიან ნაცების სატელიტი იმ პარტიების რეანიმაცია-გაპიარებას, რომლებთანაც ბიძინა ივანიშვილმა იმთავითვე გამორიცხა რაიმე სახის თანამშრომლობა!

ერთადერთი გამონაკლისი მედიაკავშირი „ობიექტივია“, რომელსაც კინკილა სტუდიის „მდიდრულ“ ინტერიერსა თუ აპარატურაზე ეტყობა დასავლური გრანტების „სიჭარბე“...

„ნატო“ - არა მზევინარი! ანუ „ლოხების“ საქართველო?

ამ ქვესათაურის პირველი ნაწილი, ჩვენს მეგობარ გია კორკოტაშვილს ეკუთვნის, რომელიც ამას წინათ, ნატოს გენმდივნის ვიზიტისას დაახეთქა საკუთარ რადიოეთერში კორკოტამ და მას შემდეგ იმდენჯერ ვახსენე ეს ენამოსწრებული ფრაზა, რომ ლამის რეფრენად იქცა ქალაქში.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, ეს თქვენი მონა-მორჩილის ჯეელობის დროინდელი, ჟარგონებთან სიახლოვის შედეგია...

ორივე ერთად კი, მართლაც უპრიანია ანდრეს ფონ რასმუსენის და მისი აქაური, კოჰაბიტაციის „კაიფში“ მყოფი მასპინძლების – ოცნება-ნაცების მიმართ, რომლებიც დღიდან უმრავლესობა-უმცირესობის სავარძლებში დაბრძანება-ჩაბრძანებისა, ერთმანეთს ტოლს არ უდებენ ნატოსთან უაზრო ფლირტაობა-ლაქუცში!

დიახ, უაზრო და არა მხოლოდ იმიტომ უაზრო, რომ ნატოში არავინ აპირებს ჩვენს მიღებას, არამედ სხვა მიმართულებებითაც, რომელთაც მოკლედ შევეხები „ურწმუნო თომების“ გასაგონად:

მაშ ასე, ჩვენ ნატოში არავინ და არასდროს არ მიგვიღებს! ყოველ შემთხვევაში, როგორც რუსები იტყოდნენ – „ვ ობოზრიმომ ბუდუშჩემ“ და გაგიკვირდებათ, მაგრამ ისევ რუსეთის ფაქტორისა გამო, რადგან რუსეთს ეკუთვნის (მართალია, რასმუსენი ირწმუნება, რუსეთს არავინ ეკითხებაო, მაგრამ მაინც...) მთავარი ვეტოს უფლება. ვეტოსი, რომელსაც, მიხეილ შექანებულის მიერ პარლამენტში დადებული და ოცნების მიერ გადალახული ვეტოებისგან განსხვავებით, ვერასოდეს გადალახავს ნატო!

ეგეც არ იყოს და, როგორც მინიმუმ, ნატოს ერთი წევრი გერმანია, მანამდე არ მისცემს საქართველოს მწვანე შუქს, სანამ „გაზპრომის“ მრავალმილიარდიანი გაზსადენის მთავარი დისტრიბუტორი იქნება ევროპაში. ევროპაში, რომელიც ჭიპლარით არის მიერთებული რუსეთის ენერგოშემცველებზე! აღარაფერს ვიტყვი საფრანგეთის ტრადიციულ სიმპათიებზე რუსეთის მიმართ და პირიქით, რაც თვით 1812 წლის პირველმა სამამულო ომმაც ვერ შეასუსტა...

აქედან გამომდინარე, „ნატო-ნატოს“ ძახილი, კომუნისტებისდროინდელ კომუნიზმისკენ უტოპიურ სწრაფვას მაგონებს. თუმცა, ერთი განსხვავებით – კომუნისტები გვასწავლიდნენ, რომ კომუნიზმი ჰორიზონტზე ჩანს და მალე მივალთო. ჰოდა, გვატყუებდნენ ის „საზიზღრები“, გვიმალავდნენ, რომ ჰორიზონტზე კი არა, კომუნიზმში ვცხოვრობდით, რადგან გაზი, წყალი, ბენზინი, ტრანსპორტი, შუქი, სწავლა-განათლება, ექიმ-წამალი, პური, შაქარ-მარილი, ასანთი და ა.შ. კომუნალურ-სოციალური მინიმუმები, პრაქტიკულად უფასო იყო!

მაგრამ თავი დავანებოთ „საზიზღარ კომუნისტებს“ და „საყვარელ“ ნატოს დავუბრუნდეთ – შეიძლება, რომ ნატოში შესვლა ქვეყნის მიზანი იყოს? რა თქმა უნდა, არა, რადგან ნებისმიერ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო ალიანსში გაწევრება მხოლოდ საშუალებაა ამა თუ იმ მიზნის, ჩვენს შემთხვევაში უსაფრთხოების მისაღწევად და დავუშვათ დაუშვებელი და ხვალ ნატოში მიგვიღეს, გარანტია გვექნება უსაფრთხოებისა?

ერთი წუთით ჰიპოთეტურად წარმოვიდგინოთ, რომ ხვალ რუსეთი გაგიჟდა (რაც, არცთუ წარმოუდგენელია) და ყოფილ საბჭოთა, დღეს კი ევროკავშირ-ნატოს წევრ ბალტიის ქვეყნებში ტანკები შეიყვანა – ვისაც ჰგონია, რომ ასეთ შემთხვევაში ნატოს წესდების შესაბამისი პარაგრაფი ავტომატურად ამოქმედდება და ნატო (ანუ, მხოლოდ აშშ, თორემ ბებერი ევროპა ჰიპოთეტურადაც არასდროს!) ომს გამოუცხადებს რუსეთს, ასათიანზე მიბრძანდეს – მართალია, ცხონებული ავლიპი ზურაბიშვილი დიდი ხნის გარდაცვლილია, მაგრამ ერთ „უსმირიტელნი რუბაშკას“ არ დაამადლიან...

პირდაპირ ამაზრზენი სანახავი იყო, რასმუსენის წინაშე ერთნაირად მაამებლური კუდის ქიცინი ოცნება-ნაცების მაღალი ჩინებისა, ხოლო რასმუსენ-სააკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია ქართველი ხალხის მწარე დაცინვა იყო – **ვადაგასულ პრეზიდენტთან შემოდგომამდე იძულებითი კოჰაბიტაცია არ გვაკმარეს და სადისტი მკვლელების რეჟიმის მთავარ რეჟისორს, ლამის ქართული დემოკრატიის მამა უწოდო, ამ შექანებული იმბეცილის ღვაწლზე და ამ ნიშნით მის ისტორიაში გარანტირებულად დადებითი ნიშნით შესვლაზე საუბარი, ქართველი ხალხისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო!**

ამ ფონზე კი, 17 მაისის ხაზგასმით ხსენება, დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნა და პირიქით, 26 მაისის და აგერ სულ ახლახან, მორიგი საშინელი კადრების სრული იგნორი, ავღანეთში ჩვენს ჯარზე – „ეგ არ არის ბილეთი ნატოშიო“, ხომ საერთოდ ყოველგვარ ზნეობის ზღვარს სცილდება, რადგან აქედან რა გამოდის, რომ ჩვენი საჯიშე ბიჭები ავღანეთში, მსოფლიო პედერასტების უსაფრთხო გეიპარადების ჩატარებისთვის იღუპებიან?

(ახლა ნატო მიზეზს ეძებს, რომ სირიასაც ის დამართოს, რაც ერაყს უყო და სამეგრელოში ნაპოვნის მსგავსი კადრები, რომ ასადის რეჟიმისთვის აღმოეჩინათ, ქიმიური იარაღის „ჩადებაზე“ იჩალიჩებდნენ, როგორც ადრე სადამ ჰუსეინს „ჩაუდეს“ ატომი, თუ კაი ხნის დამყარებული ექნებოდათ „დემოკრატია“?)

მისტერ რასმუსენმა, სად „უყნოსა“ საქართველოში დემოკრატიას, ასე რომ გააბრუა, სად დაინახა სააკაშვილის დემოკრატობა, ისტორიულ უკვდავებას რომ უწინასწარმეტყველებს თუ მართლა „ლოხები“ ვგონივართ ქართველები? ვინ იცის, იქნებ ვგონივართ კიდეც, რადგან მიუხედავად მორიგი, ჩვენთვის არაფრის მომტანი ვიზიტისა, 2 დღე, რომ იტყვიან, მაისურებიდან ამოხტნენ მისი მასპინძლები, მეორე ნახევრებთან ერთად იგულავეს და აგულავეს „მაღალი სტუმარი“ და იმითი დარჩნენ ბედნიერნი, რომ ფონ ანდერსს თურმე სუხი შვილების ცეკვა მოსწონებია...

ჰოდა, როგორც ჩემს ერთ ცხონებულ უფროს მეგობარს უყვარდა თქმა – **„თქვე ჩემის კვირისტიებო! აღარ გვინდა ნატოს ღია კარების ყურება, ცოტა მისურეთ, თორემ „სკვაზნიაკია“, ანუ მართლაც, ნატო არა, მზევინარი“...**

შედარებით ლიტერატურულად კი, პირდაპირ ვაცხადებ – ვინც დღეს კვლავ იმას „აწვება“, რომ საქართველო ნატოში შევა, ან იმბეცილი ბრიყვია, ან შეგნებული მატყუარა ნაძირალა და რადგანაც „ოცნებაში“ ნატოს მთავარი ლობისტების, რესპუბლიკელების გონებრივ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, ვინ ვინ გამოდის თუ ვინ ვინ არის, ამის გარკვევა მკითხველს არ გაუჭირდება...

პედერასტების დაცვა - აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი!

დიახ, ასე, არავითარი კითხვის ნიშნები და ეს რომ ასეა, საზოგადოებას შევახსენებ ადრე თქმულს:

ჯერ იყო და, ამ 2 წლის წინათ ბარაკ ობამამ რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონი გააუქმა, რომელიც გეების მსახურებას კრძალავდა ამერიკის ჯარში; შემდეგ მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ – **ამიერიდან აშშ-ს ერთ-ერთი საგარეო პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაა!**

მისის ჰილარის შოკისმომგვრელი განცხადებიდან რამდენიმე დღეში ბარაკ ობამამ, რომ იტყვიან, სულ გარეკა და– **აშშ-ს ფინანსური დახმარება, ამა თუ იმ ქვეყანაში, ლგბტ-ს საზოგადოების უფლებების დაცვის ხარისხზე იქნება დამოკიდებულიო და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, მთელი მსოფლიო გეიპარადების ახალმა ტალღამ მოიცვა!**

არც ეს იკმარა ობამამ და საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამომრჩევლებს ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას შეპირდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც განაპირობა კიდეც მიტ რომნის დამარცხება, რასაც „ვულოცავ“ კიდეც ამერიკელ ხალხს – **ბარაკ ჰუსეინ ობამა, არა მხოლოდ პირველი აფროამერიკელი, არამედ პედერასტების სმენით თეთრ სახლში შესული პირველი შავი პრეზიდენტიც არის!**

მიხეილ ქვეშაფსიას (კავკასიურიდან) მრავალი „პირველად საქართველოშის“ არ იყოს, ბარაკ ობამას დროს, პირველად ამერიკის ისტორიაში, პენტაგონში პირველი ლესბოსელი გენერალი ქალი ჰყავთ, პირველად წაახალისეს სკაუტებში პედერასტობა და ბოლოს, ჯერჯერობით მთელი შტატების მასშტაბით ვერა, მაგრამ პირველად გაუტოლდა ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების რიცხვი 13 შტატს, პლუს კოლუმბიის „ოკრუგი“ ვაშინგტონი!

აქედან გასაგებიც არის და ბუნებრივიც, ამერიკის საგარეო პრიორიტეტების მკვეთრი „კრენი“ – მთელს მსოფლიოში დემოკრატიის ექსპორტიდან, პედერასტების უფლებების დაცვისკენ.

იქნებ იმიტომაც, რომ დემოკრატიის ექსპორტი აშკარად ჩაუვარდათ?

კარგად ვნახეთ, როგორი დემოკრატიები დაამყარეს იქით ლათინურ ამერიკაში და აქეთ ირანში, სადაც შაჰის ჩამოგდებაში დაეხმარნენ ირანელ „დემოკრატებს“ და შედეგად აიათოლების რეჟიმი მიიღეს, ერაყში, ლიბიაში, ტუნისში, ბალკანეთში, რომელიც ჯერ უმოწყალოდ დაბომბეს და შემდეგ ჩვენს ერთმორწმუნე სერბებს კოსოვო აახიეს!

იგივე რა, ჩვენ არ გაგვიკეთეს? – წლების მანძილზე ხელს აფარებდნენ სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს, ფართოდ დახუჭული თვალებით უყურებდნენ, როგორ გვაუპატიურებდნენ ცოცხლებით, როგორ გვხვრეტდნენ ქუჩებში, როგორ გვარბევდნენ 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს და ბოლოს როგორ დაგვბომბეს რუსების ხელით და კოსოვოსი არ იყოს, როგორ წაგვგვარეს სოხუმ-ცხინვალი და ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც?

ახლა, იგივე დემოკრატიას სირიაში და ავღანეთში ამყარებენ, ოღონდ ამ უკანასკნელში, ჩვენი ქართველი მამლუქების სისხლით, რომელიც თურმე ნატოს ბილეთიც კი არ ყოფილა...

ამერიკული დემოკრატიის შედეგებს იმკიან ეგვიპტეშიც, სადაც უკვე მრავალი (მათ შორის, ერთი ამერიკელი სტუდენტი) ადამიანი დაიღუპა, სადაც უკვე ჩამოაგდეს ორიოდ წლის წინათ არჩეული პრეზიდენტი მურსი...

ამ ყველაფრის ფონზე, ბარაკ ობამა თავისი აფრიკული ტურნეს დასაწყისში სენეგალში, რაზე ლაპარაკობს და პირველ რიგში რაზე წუხს? რა თქმა უნდა, ადგილობრივი პედერასტების დარღვეულ უფლებებზე, რომელთაც თურმე სენეგალში ჩვენსავით „ვანდალურად“ კი არ არბევენ, არამედ „ცივილურად“ ციხეში სვამენ!

იხ. 4 გვ.

◎ ხელყოფილი „ბიბლია“

ესეც თქვენი „დემოკრატია“!

ანუ როცა სიტყვა სხვაა, საქმე კი - მართლაც სხვა

ის, რომ აშშ მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, სულ ახლახან კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ის, რომ პირველობა მსოფლიოს ჟანდარმობას გულისხმობს, ესეც სულ ახლახან დამტკიცდა, ის, რომ პირველი ქვეყნისთვის არც საერთაშორისო სამართალი არსებობს და არც ადამიანის უფლებების დაცვა, ესეც დამტკიცდა და თანაც ისე თვალნათლივ, როგორც ამერიკის მიერ დემოკრატიისთვის ყასიდი ბრძოლა.

„დემოკრატია“ და „ადამიანის უფლებების დაცვისთვის“ ბრძოლა - ეს ის ლოზუნგებია, დიდი ქვეყანა დანარჩენების წინააღმდეგ რომ იყენებს. დიდი და პირველი ქვეყნის ერთპიროვნულ ლიდერობას ნელ-ნელა უდგება წყალი, მაგრამ ვიდრე საბოლოოდ შეუდგება, არაერთი არასასიამოვნო მოვლენის მხილველი გავხდებით.

ამერიკის ჰეგემონობის წერტილის დასმას ჩინეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები ცდილობენ. გარკვეულ წარმატებასაც აღწევენ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი აშშ-ის პირველობის შესარყევად.

მსოფლიოს ექსპერტთა მიხედვით, მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ მოახერხებს ჩინეთი აშშ-ის უკან ჩამოტოვებას ერთიანი ეროვნული პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. სხვა პარამეტრებით, ამერიკა მაინც შეინარჩუნებს პირველობას, თუმცა არა საბოლოოდ.

ამერიკის პირველობის გარანტორი მარტო მონეტარული სისტემა და დოლარის მსოფლიო ბატონობაა, არამედ ეკონომიკურ-საფინანსო სისტემის დასაცავად არსებული მისეული შეიარაღება. ამ ქვეყანას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აქვს სამხედრო ბაზები. მისი სამხედრო ხომალდები დაცურავენ მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში.

და აღნიშნულის მიუხედავად, სულ უფრო ინტენსიური ხდება სხვა ქვეყნების წინააღმდეგობა, რაც სნოუდენის მიერ შექმნილი კრიზისითაც კარგად გამოიხატა. აშშ-ის ყოფილი სპეცსამსახურების თანამშრომელი, აღშფოთებული ჰეგემონი ქვეყნის საქციელით, ტოვებს სამსახურს და თავის ხელთ არსებულ საიდუმლო ინფორმაციას, მსოფლიო საზოგადოების სამსჯელო თემად გამოაქვს.

აშშ ლამობს მის დაჭერას, მაგრამ ვერ ახერხებს, ვინაიდან ჩინეთის სპეციალური ზონა - ჰონ-კონგი ეწინააღმდეგება ვაშინგტონის მოთხოვნას და სნოუდენს ჰონ-კონგიდან მოსკოვს გაფრენის ნებას რთავს. მას შემდეგ სნოუდენი მოსკოვის „შერემეტიევოს“ აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში იმყოფება.

აშშ-მა მას გაუუქმა პასპორტი და მუქარით მიმართა, როგორც პეკინს, ისე მოსკოვს - თუ ჯაშუშ სნოუდენს არ გადმოგვცემთ, სერიოზულ პრობლემებს შეგიქმითო. მოსკოვმა ცალ ყურში გაატარა აშშ-ის მუქარა, — სნოუდენს არ გადმოგცემთო!

ჯაშუშობაში ჭიპმოჭრილი პირები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ სნოუდენი სულაც არ არის ჯაშუში — ის, უფრო ადამიანის უფლებათა დამცველია - მსოფლიოში სიმართლისთვის მებრძოლი.



ბედნიერია სამყარო, როდესაც ასეთები არიან, მაგრამ სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან მცირეა. სნოუდენის, ასანჟის (ვიკილიკსის), სხვათა საქციელი, რასაც ვაშინგტონი ღალატად და ჯაშუშობად აღიქვამს — გმირობაა, თანაც ისეთი, ბადალი რომ არ მოეძებნება მსოფლიოში.

აშშ-ის ხელში მოხვედრის შემთხვევაში ყველა მათგანს სიკვდილით დასჯა ემუქრება. იცოდნენ მათ ამის შესახებ? ცხადია იცოდნენ და, ამის მიუხედავად, გადადგეს, გმირობის ტოლფასი ნაბიჯი. და ეს რომ ასეა, ამას თვით ჩვეულებრივი, რიგითი ამერიკელიც აცხადებს და, მასთან ერთად აშშ-ის მოკავშირე თუ მოწინააღმდეგე ქვეყნების მოქალაქეებიც.

ისინი სნოუდენს გმირად აღიარებენ, მაგრამ მეტს ვერ ბედავენ, მაინც შიშობენ ამერიკაა და სადღაც, რაღაცაში საქმეს გაგვიფუჭებსო.

იციან ჰეგემონის „დემოკრატობის“ ამბავი. პუტინი, რომ პუტინია, მანაც ისეთი განცხადება გააკეთა, მწვადს რომ არ წვავს, მაგრამ შამფურს - უდავოდ. „მზად ვართ სნოუდენს მივცეთ პოლიტიკური თავშესაფარი, მაგრამ იმ პირობით, თუ ის შეწყვეტს ჩვენი პარტნიორი ამერიკის წინააღმდეგ მოქმედებასო“.

პუტინის ნათქვამი ყველას გაუკვირდა, მათ შორის პუტინსაც. სიტყვა „პარტნიორი“, რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან, ამერიკის მისამართით ნათქვამი, მართლაც გასაკვირი იყო. „როდის აქეთო?“ - იკითხავს მავანი. მაინც, რა მოხდა ლოხ-ერნში პუტინ-ობამას პირისპირ შეხვედრაზე ისეთი, რომ პუტინს ამერიკა პარტნიორად ჩაეთვალა?

რაღაც რომ მოხდა, ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ამ სიტყვას არ იხმარდა. საკითხში ჩაღრმავება არ ღირს, მით უმეტეს, როდესაც ვერაფერს გავიგებთ. რასაც გავიგებთ კი, ის არის, რომ ცასა და „შერემეტიევოს“ აეროპორტის ნეიტრალურ ზონას შორის მოქცეული გმირი სნოუდენის სიცოცხლე ჰაერში გამოეკიდა. პუტინის წინადადება მან არ მიიღო და მსოფლიოს 20 სახელმწიფოს მიმართა ანალოგიური თხოვნით. მათაც - გმირი ხარ, მაგრამ თავშესაფარი რომ მოგცეთ, პირადად უნდა მოგვმართოო.

ერთი სიტყვით, საკონსულო ფორმალობებს ფეხი არავინ მოუცვალა, თანაც იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან, სნოუდენი ამას ვერ გააკეთებს. საკმარისი იქნება მისი სხვა ქვეყანაში გაფრენა და ოფიციალური ვაშინგტონი ძალას გამოიყენებს.

მართალია, ობამამ ისიც, თქვა სნოუდენის გულისთვის თვითმფრინავის დასმას არ ვაპირებო, მაგრამ სჯერა ვინმეს ამ დაპირების? ვისაც სჯეროდა, იმასაც აღარ სჯერა, ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესის თავგადასავლის შემდეგ. მოსკოვში, კონფერენციაზე მყოფმა მორალესმა, ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს, აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, მიიღოს სნოუდენი.

სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც სამშობლოსკენ მიმავალ, პრეზიდენტის თვითმფრინავს საჰაერო დერეფანი დაუხურეს საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა და პორტუგალიამ. თვითმფრინავს კანარის კუნძულებზე უნდა შეევსო საწვავი. აღნიშნული ქვეყნების მოთხოვნა იყო მტკიცე და მარტივი, თუმცა, ყველა საერთაშორისო ნორმით მიუღებელი — დაფრენის უფლებას მოგცემთ, თუ თვითმფრინავს შეგვამოწმებინებთო.

სნოუდენს ეძებდნენ. მორალესი იძულებული შეიქმნა, ვენაში დამჯდარიყო. 13 საათი აყურყუტეს ბოლივიის პრეზიდენტი ვენის აეროპორტში. მასთან ავსტრიის პრეზიდენტიც მივიდა თხოვნით — შეემოწმებინა თვითმფრინავი.

სნოუდენს ეძებდნენ. მისი აღმოჩენის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ვენამაც დაივიწყა „დიპლომატიური ურთიერთობების“ შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია, რომლის მიხედვით, სხვა ქვეყნის პრეზიდენტის სატრანსპორტო საშუალება ხელშეუხებელია, მასში შესვლა, შემოწმება და ა.შ. — დანაშაულია.

„ვენის 1961 წლის კონვენცია“ — დიპლომატიის ბიბლიაა. მისი ხელყოფა არც ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს ეკადრებათ და, ცხადია, არც აშშ-ს, რომელმაც უბრძანა მათ ასე მოქცეულიყვნენ. ობამამ — აკი „არ დავსვამ თვითმფრინავს ერთი ჰაკერის გულისთვისო“?!

დაასმევინა! და თანაც ვისი? — ბოლივიის პრეზიდენტისა. ამ ამბავმა აღშფოთება გამოიწვია ლათინურ ამერიკაში, სხვაგანაც, მაგრამ მერე რა? ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. აშშ სხვისი აზრი, საერთაშორისო სამართალი ფეხებზე ჰკიდია. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოში აღარ ექნებოდა ის საშინელებები, რომლებიც აშშ-ში იღებს სათავეს და რომელთა ძალიან პატარა ნაწილი გასაჯაროვა სნოუდენმა.

საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ავსტრიის საქციელით ჩანს, „დიდი ბოსისადმი“ მონური მორჩილება, ისეთი, როგორიც საბჭოეთის დროსაც არ ყოფილა. ესეც თქვენი „დემოკრატია“. მით უმეტეს — „ადამიანის უფლებათა დაცვა“!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ არის ასეთი აზრიც!

საქართველო, ისლამიზაციიდან პედერასტიზაციამდე?..

(მესამე გვერდიდან) ობამა-რასმუსენების წუხილის შედეგია, რომ საქართველოშიც დაგვიდგა „საამური დღეები“. ჯერ შარშან სცადეს აღლუმის ჩატარება, ხოლო წელს, 17 მაისს იმ დონის პროვოკაცია მოგვიწყვეს დასავლეთიდან ფინანსირებულმა ადგილობრივმა არასამთავრობოებმა, რომ სისხლისღვრას ბეწვზე გადავურჩით!

სქემა კი მარტივი იყო, ერთი მხრივ, ღარიბაშვილს ხელი უნდა წაცდენოდა „დუბინკისკენ“, რაც საზოგადოების და პოლიციის დაპირისპირებას გამოიწვევდა და, მეორე მხრივ, ეკლესია, რომელიც პასიური მაყურებლის როლს ვერ დასჯერდებოდა სოდომის აშკარა პროპაგანდის დროს უნდა დაპირისპირებოდა ახალ ხელისუფლებას!

ამ დროს თუ სისხლიც დაიღვრებოდა, ხომ მთლად უკეთესი პროვოკაციის ავტორთათვის და მათი დასავლეთელი შემკვეთ-დამფინანსებლებისთვის!

დიახ ასეა, როცა ეს ე.წ. არასამთავრობოები არ იყვნენ, არც არანაირი რელიგიური, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობების პრობლემები იყო საქართველოში. ეს გრანტიჭამია „ენჯეოებია“, წყალს რომ ამღვრევენ და მერე ამღვრეულში თევზს იჭერენ; ესენი არიან, რომ შეფარვითა თუ აშკარად ებრძვიან საქართველოს დედა ეკლესიას, რადგან ეკლესია ძალაა, ის ერთადერთი რეალური პატრონია ქართველი ერისა და ამიტომ ყველაზე მაღალრეიტინგული ინსტიტუცია, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს დასავლეთიდან დაფინანსებულმა ადგილობრივმა სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტებმა!!!

ეპილოგის მაგივრად...

ბოლო საუკუნეების განმავლობაში საქართველოს წინაშე პერმანენტულად იდგა ისლამიზაციის საფრთხე!

კონსტანტინეპოლის ისტამბულიზაციის შემდეგ ისლამის ოკეანეში აღმოჩენილმა საქართველომ ვის აღარ მიმართა საშველად, მაგრამ ამაოდ, პარიზიდან თუ ვენეციიდან, მადრიდიდან, ავსტრიიდან თუ ვატიკანიდან მხოლოდ „გამამხნევებელი“ წერილები თუ პაპის ბულები მოდიოდა „ნუგეშად“. მიუხედავად ამისა, საქართველომ ისიც კი არ დაუშვა, რომ უკუღმა გადაეწერა პირჯვარი, ეგება კათოლიკური სამყაროს დახმარებას ღირსებოდა და მართლმადიდებლობის ერთგული დარჩა, რადგან, რატომაც არ იყო ისლამი ქართველისათვის მისაღები, იგივე გადაგვარების საფრთხეს კათოლიციზმშიც ხედავდა!

ამ ერთგულებაში ფიზიკურად დაიშრიტა, დაილია ქართველი ერი და უცილო ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშე დამდგარმა, თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს მიანდო და აკი, არც შემცდარა — მთელი 120 წლის მანძილზე ის უსაფრთხოება მოიპოვა, რასაც ახლა მავანი ქართველი ავანტიურისტები ვითომდაც ნატოში ეძებენ...

ვინც რა უნდა ის თქვას და ამტკიცოს, რაც უნდა ის დამწამოს, ფაქტი ფაქტია — რუსეთის იმპერიაში ქართველი ერი ფიზიკურად მომრავლდა, პეტერბურგში თუ მისი გავლით, ევროპულ განათლებას ეზიარა „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი, მისი ზეპირად მცოდნე, მაგრამ მიზეზთა გამო, მაინც წერაკითხვის უცოდინარი ერი!

და ყველაზე მთავარი — რუსეთის იმპერიამ საქართველო ნაწილ-ნაწილ მიიღო, ხოლო 120 წლის შემდეგ, 1918 წელს იმავე რუსეთისგან მემკვიდრეობით გაერთიანებული საქართველო მივიღეთ და თუ ვერ შევინარჩუნეთ, არა მხოლოდ „საზიზღარი ბოლშევიკების“ გამო — ცოტა ჩვენს უდღეურ მენშევიკებსაც მოვკითხოთ და იმ დროინდელი „განათლებული ევროპის“ ერთა ლიგასაც!

დაემხო მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი და უმდიდრესი მართლმადიდებლური იმპერია და რომ არა სტალინის გენია, დღეს რუსეთის სახსენებელიც არ იქნებოდა, მოსკოვისა, რომელიც დღეს საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებს „მესამე რომობაზე“, რაც აგრე აშფოთებთ თანამედროვე მასონ-გლობალისტებს, მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე აღარ გავგრძელდები...

დღეს, ისლამიზაციის მაგივრად, სოდომიზაციის, ჩვენებურად პედერასტიზაციის საფრთხე გვემუქრება, რაც საბოლოო ჯამში იგივე გადაგვარება-გადაჯიშებას ნიშნავს და იქნებ ეს საფრთხე გაცილებით უფრო საგანგაშოა, ვიდრე ისლამიზაციიდან მომდინარე?

დიახ ასეა, რადგანაც ნებისმიერი ფუნდამენტური, ბიბლიის (ძველი თუ ახალი აღთქმა) ფესვებზე აღმოცენებული რელიგია, ზნეობის მეტ-ნაკლებ დოზებს შეიცავს. ეგეც არ იყოს, ისლამის მიღება-აღიარება მოჩვენებითაც შესაძლებელია, რისი მაგალითებიც უხვად მოგვეპოვება ისტორიაში. მაგალითებად სვიმონ პირველი და თუნდაც გიორგი სააკაძე კმარა: ორივე ორგზის, შიიტურ სპარსულად და სუნიტურ თურქულად „გათათრდნენ“, მაგრამ ორივენი ქრისტიანებად დ, რაც მთავარია, საქართველოს უპირველეს გმირებად მოკვდნენ!

აი, რაც შეეხება პედერასტობას, მოჩვენებითად ვერ გაპედერასტდები, რადგან მამათმავლობა წინადაცვეთასთან კი არა, სხეულის გაცილებით „მნიშვნელოვან“ ნაწილთან ასოცირდება და თუ „იქ“ რამე დაგემართა, ან პირიქით, შენ დამართებ ვინმეს „იქ“ რამეს, ქრისტიანობისთვისაც დაკარგული ხარ და ისლამისთვისაც, რადგან ორივე რელიგიაში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება!

საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე, ერეკლე II ამიტომ ბრძანებდა — **„ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ტანჯვა-წამებით) დაიხოცნენ!** (ეს იმ დამპალი „ჟურნალისტების“ გასაგონადაც, რომლებმაც ამ თემით შეუტიეს ბიძინას ბოლო პრესკონფერენციაზე).

მეფე ერეკლე ვახსენე და ჰოი, საკვირველებავ, როგორც 200 წლის წინათ ისლამის გამო, ასევე დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, ოღონდ ისლამთან შედარებით გაცილებით საშიში პედერასტიისგან დასაცავად, ისევ რუსეთი მოჩანს!

მოსკოვს, რომელმაც ისეთი კანონი მიიღო, რომ გეი-აღლუმები და აქედან მთავარი გამომდინარე, ერთსქესიანი ქორწინებები, როგორც მინიმუმ 2112 წლამდე, ანუ, 100 წელიწადი აღარ ემუქრება! ამ ანტიპედერასტული კანონის მიღებით, მამათმავლობის, სოდომ-გომორის გზაზე დამდგარ დასავლეთს, როგორც იტყვიან, რუსებმა სილა გააწნეს, გნებავთ დუელში გამოიწვიეს დასავლეთი და ვისი სეკუნდანტობაა საქართველოს ინტერესებში, პედერასტული დასავლეთის თუ ერთმორწმუნე რუსეთის, რომელიც ამჯერად გაპედერასტება-გახლისტებისგან დაგვიცავს და ვინ იცის, ეგება კიდევ ერთხელ „შევაცდინოთ“ და როგორც 1918-ში დაგვიბრუნდა საქართველო, ოდესმე მაინც დაგვიბრუნოს ერთიანი, განუყოფელი, მართლმადიდებლური სამშობლო!

ანუ, იკისრებს ვინმე საქართველოში ერეკლეობას?..

დავით მხეიძე

ნაციონალები თორდიამაც გაწირა

უკანონო შემოწირულობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „ნაციონალურ მოძრაობას“ საბიუჯეტო თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. უწყების ინფორმაციით, ყოფილმა მმართველმა გუნდმა კანონის გვერდის ავლით, პარტიული მიზნებისთვის დასაქმების პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები გამოიყენა და 5 240 880 ლარის სახით უკანონო შემოწირულობა მიიღო.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის ზურაბ აზნაურაშვილის განცხადებით, 2012 წელს, მთავრობის დასაქმების პროგრამის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტომ შრომითი ხელშეკრულებები 21 827 პირთან გააფორმა, რომლებმაც წინასაარჩევნო სააგიტაციო სამუშაოები პარტიის სასარგებლოდ შეასრულეს.

მისი განმარტებით, დადგინდა, რომ დასაკონტრაქტებელ პირთა სია შედგენილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული აქტივისა და მხარდამჭერებისაგან, რომლებიც დასაქმების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ ინფორმირებულიც კი არ იყვნენ.

„ეს ცხადყოფს, რომ ზოგმა სახელმწიფო უწყებამ უგულებელყო დასაქმების პროგრამით დასახული მიზნები და საბიუჯეტო სახსრები „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მიიმართა. შედეგად, ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უკანონო შემოწირულობა 5 240 880 ლარის ოდენობით მიიღო“, — აცხადებს აზნაურაშვილი.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ცნობით, შემდგომი გამოძიებისთვის ანგარიში მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა.

აუდიტის სამსახურის „გამოღვიძებას“ შეფასებები პოლიტიკურ წრეებში უკვე მოჰყვა. უმრავლესობა იმ პირთა დასჯას ითხოვს, რომლებიც კანონის გვერდის ავლით „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდნენ, ხოლო, უმცირესობა მოქალაქეთა დასაქმებაზე აპელირებს და აუდიტის სამსახურის ანგარიშს აბსურდად აფასებს.

როგორც for.ge-ს უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი ბობოხიძემ განუცხადა, ამ საქმეზე გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, შესაბამისად, საზოგადოება პროცესის დასრულებას უნდა დაელოდოს.

საკითხზე საუბრისას, დავით დარჩიაშვილი და ზურაბ მელიქიშვილი ყურადღებას მოქალაქეთა დასაქმებაზე ამახვილებენ.

მელიქიშვილის მტკიცებით, სამუშაოს მაძიებელთა პროგრამიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე არც ერთი თეთრი არ მოხვედრილა.

„სამუშაოს მაძიებელთა პროგრამას მთავრობა ახორციელებდა და უკანონო შემოწირულობაში „ნაციონალური მოძრაობის“ დადანაშაულება სრული აბსურდია. ეს იმ ხაზის გაგრძელებაა, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ დევნას ითვალისწინებს. აქვე, ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ამ პროგრამიდან არც ერთი თეთრი „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე არ მოხვედრილა“, — აცხადებს დეპუტატი.

დავით დარჩიაშვილის თქმით, ადამიანის დასაქმება დანაშაული არ არის.

მისი განცხადებით, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ შემოწირულობა რაღაცნაირად საარჩენო პროცესს ებმემა, ასეთ შემთხვევაში დეტალები გასარკვევია.

ოპოზიციისგან განსხვავებით, მმართველი გუნდი საბიუჯეტო თანხების მითვისებას საგანგაშო ფაქტად მიიჩნევს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის შეფასებით, იმ პირებმა პასუხი უნდა აგონ, რომლებიც კანონის გვერდის ავლით „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდნენ.

დეპუტატის განცხადებით, აუდიტის სამსახური მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მუშაობდა და იმ ფინანსების კონტროლი არ ხდებოდა, რაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ შედიოდა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის მოსაზრებით, აუდიტის დასკვნით დადასტურდა, რომ ნაციონალები საბიუჯეტო თანხებს ითვისებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში, ნათია მოგელაძის უწყების მიერ განსაკუთრებული ყურადღება თუ რატომ მახვილდებოდა „ქართულ ოცნებაზე“ და თუ რატომ არ მოწმდებოდა ნაციონალების ყულაბა, ამის გარკვევის მიზნით, for.ge-მ აუდიტის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ ლევან ბეჟაშვილთან დაკავშირება სცადა, თუმცა, უშედეგოდ, რადგან მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

საქმეზე თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუმცა, როგორც ჩანს, ლაშა თორდიასა და დავით უსუფაშვილს შორის პარლამენტში გამართულმა კონსულტაციებმა შედეგი ნაწილობრივ უკვე გამოიღო, რადგან ცოტა ხნის წინათ, აუდიტის სამსახურმა წინა ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტის მშენებლობის დროს თანხების არამიზნობრივ ხარჯვაშიც ამხილა.

თეონა მანაგაძე

ჯალათი

მეგის ქარდავამ 27 წლის გოგო სასტიკად აწამა

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავასგან, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი პატიმარი ბელა როგავაც გახდა. ქარდავა მას გაუგონარი მეთოდებით აწამებდა, სხეულზე აწვავდა სიგარეტს, აყენებდა შეურაცხყოფას, ძალადობდა ქალბატონზე. მეტიც, ქარდავამ 27 წლის ქალბატონს ნარკოტიკიც მიაღებინა მხოლოდ იმისათვის, რომ მისგან აღიარებითი ჩვენება მიეღო. ბელა როგავას წამება ზუგდიდის სამმართველოში დილის 11-დან ღამის 2 საათამდე მიმდინარეობდა. პატიმარი ვარაუდობს, რომ ზუგდიდში აღმოჩენილ კადრებში, შესაძლოა, მისი ცემის ფაქტებიც იყოს ასახული.

როგორც დაკავებულის ადვოკატი სალომე აბულაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, ბელა როგავა 2008 წელს დააპატიმრეს 144-ე მუხლით, რომელიც ადამიანის მძევლად აყვანას ითვალისწინებს. მან ეს კონკრეტული დანაშაული აღიარა, თუმცა, მეგის ქარდავა მისგან ითხოვდა ამ დანაშაულში თანამონაწილე პირების დასახელებასაც, რაც როგავამ არ გააკეთა. სალომე აბულაძის განცხადებით, ამის შემდეგ დაიწყო ბელა როგავაზე ძალადობა. მას პატიმრობაში ყოფნის დროს დაუმძიმეს ბრალი ნარკოტიკული დანაშაულისთვის. საბოლოო ჯამში, მას 16-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, თუმცა, ამნისტიის შემდეგ სასჯელი 1/3-ით შეუმცირდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეგის ქარდავას წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ბელა როგავა დაზარალებულად არის ცნობილი.

FOR.GE ბელა როგავას ადვოკატს სალომე აბულაძეს ესაუბრა.

— პატიმარმა როგავამ სინამდვილეში გაიტაცა თუ არა ტაქსის მძღოლი?

— მან ტაქსის მძღოლს თავი გადააყვანინა აფხაზეთის საზღვარზე, რა დროსაც იგი დააკავეს. ბელა როგავა აღიარებს მის მონაწილეობას ამ საქმეში. დაკავებული მიიყვანეს ზუგდიდის სამმართველოში მეგის ქარდავას კაბინეტში. ქარდავამ მოსთხოვა მას აღიარებითი ჩვენება, რაზეც მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ იწყება მასზე ძალადობა.

— ვისგან და რა სახის ძალადობა განხორციელდა მასზე?

— უშუალოდ მეგის ქარდავა ძალადობდა მასზე, იმისათვის, რომ სასურველი ჩვენება მიეღო მისგან. წიხლებით სცემდა, აფურთხებდა, სიგარეტებით დაუწვა სხეული, მის სხეულზე დღესაც არის ამის კვალი. ბოლოს ნარკოტიკიც კი მიაღებინა, დიდი დოზა მოუვიდა და მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, ეგონათ, მოკვდა, თუმცა, როგავას ესმოდა, რას ამბობდა მეგის ქარდავა.

— რას ამბობდა ქარდავა?

— მოკვდა, წაიღეთ, ხიდიდან გადააგდეთ და იარაღი ესროლეთ, თითქოს, საზღვარზე გადადიოდა და იმათ ესროლესო. ამ დროს, როგავამ გულის არევით აგრძნობინა, რომ ცოცხალი იყო. ამის გამო ქარდავამ მას წიხლები ურტყა სხეულზე და მუცლის არეში. ცემისგან როგავას სისხლდენა დაეწყო, ექიმი მოიყვანეს, რომელმაც აღმოუჩინა პირველადი დახმარება. როგორც კი მოსულიერდა, ქარდავამ ძალადობა მასზე ისევ გააგრძელა. ცემისგან ძალაგამოლეულმა წყალი მოითხოვა, გვერდზე იდო მაგიდაზე, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, მოატანინა სხვა ჭიქით, მიხვდა ეს ქალბატონი, რაშიც იყო საქმე და არ დალია. ქარდავამ კი, იარაღით გააღებინა პირი, რა დროსაც კბილიც კი ჩაუმტვრია და ისე დაალევინა ბოლომდე ნარკოტიკული მასალა.

როგავას ბრალი დაუმძიმეს, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება-რეალიზაციის მუხლით გაასამართლეს და 16 წელი შეუფარდეს. ქარდავა მას დაემუქრა, რომ ციხეში ყოფნისას თავს შეახსენებდა.

— იყო თუ არა როგავაზე სექსუალური ძალადობა?

— არა. ასეთი რამ არ ყოფილა.

— თქვენ ამბობთ, ქარდავა მას დაემუქრა, რომ ციხეშიც შეახსებდა თავს. რა ფორმით შეახსენა ქარდავამ მას თავი?

— ციხეში რამდენიმეჯერ ესტუმრა. როგავა მის დანახვაზე ცუდად ხდებოდა, ფსიქოლოგიურად ახლაც უმძიმეს მდგომარეობაშია. რეალურად, ქარდავამ როგავას აუსრულა ეს მუქარა და ტელეფონი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ისე გააფორმეს, თითქოს, მისი იყო და ამაზე 2 წელი დაუმატეს, საბოლოოდ 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. სხვათა შორის, ქარდავა ციხეში რომ შედიოდა, როგავას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ეუბნებოდა, რომ ძალიან ლამაზი გოგო გყავს და გარეთ მას მივხედავო.

— პატიმარი ბელა როგავა არ გამორიცხავს, რომ ზუგდიდში აღმოჩენილ კადრებში, შესაძლოა, მისი ცემის ფაქტებიც იყოს ასახული. თქვენი ინფორმაციით იღებდნენ მისი ცემა-წამების ფაქტებს?

— ვფიქრობ, ბელას წამებას იღებდნენ და ამის კადრები არსებობს. ბელა დაზარალებულად არის ცნობილი, ქარდავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ყველაფერი, რაზეც მე ვსაუბრობ, დამტკიცებულია ექსპერტიზის დასკვნით. უშუალოდ მეგის ქარდავამ თავით თაბაშირ-მუყაოს კედელიც კი შეანგრევინა და ამის მტკიცებულება არსებობს.

* * *

გუშინ ცნობილა გახდა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სამხედრო პოლიციის მიერ ჩატარებული ერთობლივი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა. როგორც გამოძიებით ირკვევა, მითითებულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მეგის ქარდავამ 2012 წლის 1 თებერვლიდან 6 ივლისამდე პერიოდში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო განყოფილებიდან ფარული ხარჯების მუხლით, ოპერატიული ღონისძიების მიზნით გამოყოფილი სხვადასხვა ოდენობის თანხების ეტაპობრივად უკანონოდ გატანის გზით მითვისა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 496 273 ლარი.

მანვე, 2012 წლის 21 თებერვლიდან 2012 წლის 10 ივლისამდე პერიოდში, ასევე ეტაპობრივად გაფლანგა იმავე მუხლითა და იმავე მიზნით გამოყოფილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 188 000 ლარი.

ჩადენილი დანაშაულისათვის მეგის ქარდავას დაუსწრებლად წარედგინა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება.

მეგის ქარდავას აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა. ამავე საქმეში საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბრალდება წარდგენილი აქვს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ყოფილ უფროსს მალხაზ ბოხუას. საქმეზე გრძელდება გამოძიება.

თამთა ქარჩავა

◎ „სენსაციური“ სინამდვილე

პაატა ბურჭულაძე რჩება დიდ ხელოვნებაში, აბრძოლებს საქველმოქმედო მოღვაწეობას და... უარს ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატობაზე!

პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტის კანდიდატობაზე თანხმობის გამოცხადებას არ აპირებს, რადგანაც პრეზიდენტობის წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმა საერთოდ არ სურს!

გრძელდება მითქმა-მოთქმა, სჯა-ბაასი, ვრცელდება ათასი ჭორ-მართალი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მამულიშვილის პაატა ბურჭულაძის პიროვნების გარშემო.

არასაპარლამენტო ოპოზიცია, ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ქართული ეკლესიის მრევლი, პოლიტოლოგები და ექსპერტები მსოფლიო ბანისგან, „იავნანას“ და „ივერიისას“ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდების დამფუძნებლისგან საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებაზე თანხმობას ელოდებიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველსავე სატელევიზიო ინტერვიუში თავაზიანმა, გაწონასწორებულმა და ღვთისმოსავმა პაატა ბურჭულაძემ თავისი საპრეზიდენტო კარიერით დაინტერესებულ ხალხს საოცრად დიპლომატიური პასუხი გასცა: ნდობისთვის დიდი მადლობა, მაგრამ ამ საკითხზე საერთოდ არ მიფიქრია, იმდენად მოუცლელი ვარ, დროში გაწერილი იმდენი პროექტი მაქვს დაგეგმილი, ამ ეტაპზე, ალბათ, გამიჭირდება თანხმობის მიცემა... თუმცაღა, ვიფიქრებ, სერიოზულად ვიფიქრებ და საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით შეგატყობინებთო...

„თავისუფალ და დემოკრატიულ“ საქართველოში, მსოფლიო ბანის და გაეროს კეთილი ნების ელჩის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ატყდა, მაგრამ რა ატყდა, — გაკოტრებულ პარტიათა ლიდერებმა, ზოგიერთმა „ექსპერტმა“ და სახელმწიფო „მოღვაწემ“ ბურჭულაძის ჩანაფიქრი ლამის სასაცილოდ აიგდო და უტიფრად განაცხადა, მომღერალი პრეზიდენტიღა გვაკლდაო!..

აქვე გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ იყვნენ და არიან ისეთი პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც პაატა ბურჭულაძეს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ.

როგორც ჩანს, საზოგადოება „ქართული ოცნების“ ლიდერის პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებამაც დააბნია: პაატა ბურჭულაძემ შესაძლოა „ოცნების“ კანდიდატს ხმები წაართვას, მაგრამ... მარგველაშვილს ამ არჩევნებში კონკურენტი ვერ ეყოლება, რადგანაც ვერც პაატა ბურჭულაძე გაუწევს მას ღირსეულ ოპონირებასო...

როგორც რიგითი ამომრჩეველი და დღემუდამ ხალხში მოტრიალე ჟურნალისტი ერთმნიშვნელოვნად მივიჩნევ, რომ პაატა ბურჭულაძეს დღეს (არამც თუ მარგველაშვილის ოპონირება გაუჭირდება) პრეზიდენტის პოსტზე კონკურენტი საერთოდ არა ჰყავს. პაატა მარტოოდენ დიდი ხელოვანი და მსოფლიოში აღიარებული პიროვნება არ არის, ის ერთობ გამოცდილი დიპლომატი, დინჯი, პრინციპული და ეროვნული ცნობიერების მქონე ენერგიით (ჭკუა-გონებითაც!) სავსე ადამიანია!

პაატა ბურჭულაძის ამ თვისებების დამადასტურებელ ფაქტებს მოგვიანებით გავაცნობ ჩვენს მკითხველს.

ჯერ ცოტა ადრეა!..

მანამდე კი პაატა ბურჭულაძე თავისი სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით დღეს 6 ივლისს, სანკტ-პეტერბურგში დიდ კონცერტს მართავს და ამით აგრესორ, სხვათა მიწების ოკუპანტ, მაგრამ მაინც ერთმორწმუნე რუსეთთან კულტურულ-დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობას უსვამს ხაზს... 9 ივლისს კი, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი და მისი ლეგენდარული დირიჟორი იური ტემირკანოვი თბილისში ჩამოჰყავს და მთელ საქართველოს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კიდევ ერთ საქველმოქმედო კონცერტზე ეპატიჟება.

ხალხი ვარაუდობს, რომ 9 ივლისს პაატა ბურჭულაძე თავის საპრეზიდენტო ამბიციებზე საბოლოო განაცხადს გააკეთებს...

ჩვენს რედაქციას გუშინ სანდო წყარომ აცნობა, რომ პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტობის კანდიდატობაზე თანხმობის გამოცხადებას არ აპირებს, რადგანაც პრეზიდენტობის წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმა საერთოდ არ სურს!

საკუთარი სასცენო შემოქმედებით, გაჭირვებულთა თანადგომის ნიჭით, მახათას მთაზე უნიკალური სამონასტრო კომპლექსის აშენების უმძიმესი ტვირთით დამძიმებულ კაცს ჯერ საქართველოს პრეზიდენტობაზე „ფიქრის უფლებაც“ არა აქვს.

ეს ჯერჯერობით! მადლობა უფალს, რომ პაატა ბურჭულაძე სულით მხნე და ძლიერი შუახნის კაცია და წინ დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოღვაწეობის ნარეკლიანი გზა უძევს...

სპარტაკ ქოჯულია

◎ ფორუმი

ქართული ენის მომავალზე ყველა ჩვენგანია პასუხისმგებელი

ფრიად საგულისყურო და გამოვტყდეთ — ნალოდინარი, „მომწიფებული“ ღონისძიება გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა — კონფერენცია, რომლის დევიზად გამოცხადდა „ტერმინოლოგია — ქართული ენის ხვალინდელი დღე“ (თუმცა, პირადად მე მეჩვენება, რომ მშობლიური ენის „ხვალეს“ გაცილებით უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ, ტერმინოლოგიის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად... — თ. ე.).

ახლა, როცა დედაენა — ამაშიც გამოვტყდეთ — მძიმე დღეშია ჩავარდნილი თუნდაც პრესის ფურცლებისა და ტელეეკრანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოკლებულია სახელმწიფო-სახელისუფლებო ყურადღებასა თუ მნიშვნელობას; როცა ინგლისურისაგან, გინდაც მსოფლიოში პირველი ენისაგან, გვარიან შევიწროებას განიცდის — ახლა-მეთქი, მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე (თუნდაც მეტწილად ტერმინოლოგიის ფარგლებში) იმგვარი ფართო და გაცხოველებული მსჯელობა, სამდღიანი და დღეში ორსხდომიანი, როგორიც ენათმენიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაისმა, ერთობ სასარგებლო და ეფექტიანი წარმოჩნდა.

ფართო და გაცხოველებული მსჯელობაა, მაშ რა არის, როცა კონფერენციის 55 მონაწილე 36 ასეთი მოხსენებით გამოდის: „სპეციალური ტერმინოლოგიის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში“; „თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია — ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები“; „ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის გამოყენებისა და დახვეწის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის“; „სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხისათვის“; „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)“; „ქართული მათემატიკური ტერმინების ფორმირების ისტორიისათვის“; „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)“; „რამდენიმე ახალი და „ძველი“ სიტყვა-ტერმინის შესახებ“; „შუმერული მეტროლოგია და ქართველური ენები“; „ანტიკური ხანის საკუთარი სახელები ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში“ და არაერთი სხვა.

ენათმეცნიერებს, რასაკვირველია, თვით ღმერთმა „უბრძანა“ ამნაირ შეკრებაზე გამოსვლები, ოღონდ საგანგებოდ სათქმელია, რომ მომხსენებელთა შორის იყვნენ ეკონომისტები, იურისტები, მათემატიკოსები, მედიკოსები და სხვა პროფესიების წარმომადგენლებიც; აღსანიშნავია კონფერენციის ჩინებული ორგანიზებაც: ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლალი ეზუგბაიამ, სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგემ ლია ქაროსანიძემ მთელ კოლექტივთან ერთად ყველაფერი იღონეს, რომ ფორუმის მონაწილეებს ჩვენს ძნელ დროში კომფორტულად გვეგრძნო თავი — ცალკე პროგრამის, ცალკე თეზისების დასტამბვით, ყოველდღიური ფურშეტიანი შესვენებით, საინფორმაციო შეტყობინებათა ოპერატიულობით, შეუნელებელი ყურადღების გამოჩენით...

გამოითქვა სურვილები, შემოვიდა წინადადებები, რომ ამგვარი მასშტაბური ფორუმები ყოველწლიურად ჩატარდეს და რომ ინსტიტუტის ინიციატივით ყოველთვიურად თუ არა, რაღაცა პერიოდებით მაინც მოიწვიონ ხოლმე „მედიელები“ გაზეთებიდან თუ ტელეარხებიდან მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხებზე საგულისხმო შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების მოსასმენად თუ გასაცნობად. რა კარგი იქნება, თუ მოხერხდება ამ წინადადებათა ხორცშესხმა!

შეკრების რამდენიმე თვალსაჩინო ფიგურანტს შთაბეჭდილებათა გაზიარება ვთხოვეთ.

ლალი ეზუგბაია, ფილოლოგიის დოქტორი:

— კონფერენცია ნაკარნახევი იყო ტერმინოლოგიის სფეროში არსებული ქაოსური ვითარებით. ერთი მხრივ, ცალკეული დარგების ლექსიკონები იქმნება ენათმეცნიერებთან თანამშრომლობის გარეშე, მეორე მხრივ, გვაქვს ტერმინოლოგიური სიჭრელე, რაც სასკოლო ლექსიკონებშიცაა ასახული. ამასთანავე, მოგვეძალა ნასესხები ტერმინები და ქართული ტერმინთშემოქმედება ჩამორჩება დროის მოთხოვნებს (ახალი ტექნოლოგიები, ინტერნეტი...).

ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ინიციატივით ფორუმმა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს მოუყარა თავი და გამართულმა დისკუსიამ წარმოაჩინა ტერმინოლოგიის დარგში არსებული სირთულეები და მზაობაც მათ დასაძლევად. მკაფიოდ გამოჩნდა, რომ საჭიროა ტერმინთშემოქმედების წარმართვა და ჩვენთვის ტერმინოლოგიური ცენტრის ფუნქციის დაბრუნება. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სახელმწიფო სატერმინოლოგიო ცენტრის ჩამოყალიბება, აგრეთვე, მოსმენილი მოხსენებების დაბეჭდვა კრებულის სახით.

ლია ქაროსანიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

— 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში ტერმინთშემოქმედება უმართავად მიმდინარეობს და უკვე საგანგაშო გახდა, რამდენადაც ტერმინს თხზავს ყველა: მთარგმნელი, პროფესორი, ინჟინერი, იურისტი, ჟურნალისტი, ტელეწამყვანი, მცოდნე თუ არმცოდნე; არც ინტერესდებიან, არსებობს თუ არა გარკვეულ დარგში ესა თუ ის ტერმინი.

საქართველოში აღარ იქმნება ნორმატიული დარგობრივი ლექსიკონები, რომლებსაც დაეყრდნობა ქართული სახელმძღვანელოები ან ოფიციალური თუ სამეცნიერო ენა. შედეგად თანდათან დავიმკვიდრეთ სიტყვები კოგნიტური, კრეატიული, კონსენსი, ნონსენსი, დისკურსი, ნიუსი, ბონუსი, ტრანზაქცია, ბრენდი, ბორდი, ლოჯისტიკა და ა. შ. — ეს კი სამეცნიერო წრეების სისუსტეა.

სპარსულ-თურქულ-რუსულ ენობრივ იერიშს გადარჩენილ სიტყვათა მარაგს საშიშროებას უქმნის უცხო ტერმინების მოძალება. ჩვენს თვალწინ იცვლება, უცხო და არაბუნებრივი ხდება ქართული ენა: ტერმინოლოგიური მუშაობა ერთი ცენტრის მიერ უნდა იმართებოდეს, აქ უნდა იყრიდეს თავს ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, სხვანაირად არევ-დარევას, ქაოსს ვერასოდეს ვერ მოვერევით. ქართული ენის მომავალზე ყველა ჩვენგანია პასუხისმგებელი.

ავთანდილ არაბული, აკადემიკოსი:

— არათუ მომწიფდა, არამედ კიდევაც დაგვიანდა ქართულ სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მსჯელობა. პრობლემის გადაწყვეტას კი მსჯელობა ჯერაც არ ნიშნავს, აქ ხომ უზარმაზარი პრაქტიკული სამუშაოა შესასრულებელი. ამ ტვირთის სიმძიმე კარგად დაგვანახვა კონფერენციაზე წაკითხულმა მოხსენებებმაც; ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ თუ არ დაისახა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, ცალკეული „განწირული სულისკვეთება“ ბევრს ვერაფერს ვერ იზამს.

იხ. 9 გვ.

*დღეს მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ქართველი პოეტის, არაერთი პრემიის ლაურეატის მრავალი პოეტური კრებულის ავტორის **მთვარისა კერესელიძის** ახალ ლექსებს.*

აქვე ვაქვეყნებთ გამოჩენილი პოეტების შოთა ნიშნიანიძისა და ნაზი კილასონიას წერილებს, რომლებითაც მათ თავის დროზე თავიანთი უმცროსი კოლეგა შეაფასეს პოეტურ საღამოებზე, მაგრამ თვითონ წერილები პრესაში არ გამოქვეყნებულა.

ასე რომ, ამ წერილებსაც მკითხველი დღეს პირველად გაეცნობა.

იდგა ვით დედოფალი

ამ დღეებში, მაისის ერთ მშვენიერ საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში – პოეზიის ნამდვილი ზეიმი გაიმართა, მასპინძელი იყო – უნატიფესი ხმის პოეტი – მთვარისა კერესელიძე.

მთვარისა კერესელიძის შემოქმედებას მე დიდი ხანია ვიცნობ და ინტერესით ვადევნებ თვალს. ვიცნობ მთვარისას, როგორც უნიჭიერეს პოეტს. დახვეწილი ფრაზა, ჰაეროვანი რითმები, ჟღერადი რიტმი, სიტყვათა ტრიალი, ღრმა აზროვნება, ფაქიზი სული, ლექსში გამოხატული ამაღლებული გრძნობები, ზეციურობისაკენ სწრაფვა... აი, რა არის მისი ორიგინალობა, აი, რა ხდის საინტერესოს მის პოეზიას. რა დაგიმალოთ და... სადღაც გალაკტიონს მაგონებს ხოლმე. ხანდახან სიტყვის თავისებური წნეხვით, ხან კი გრანელისებურად სევდა ეძალება (ეს გამონათქვამი გთხოვთ სწორად გამიგოთ!), მაგრამ მაინც ყველასაგან განსხვავებული, თვითმყოფადი და თავისთავადია... მკვეთრად თავისეულია სიტყვა, ფრაზა, სტრიქონი... ყოველი სიტვა დამუხტულია პოეზიის დიდი მუხტით, გარანდულია და წნეხშია გატარებული. ასე მგონია საკუთარი ქურა აქვს მას ლექსის გამოსაწრთობად, საკმაოდ ორიგინალური, თავისებური, ძლიერი და ჟღერადი...

ერთი სიტყვით, ამ საღამომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, და არა მარტო ჩემზე, მთელ დარბაზზე. ის თავის კვალს დატოვებს მწერლობაში. მთვარისა კერესელიძემ კი უდავოდ დიდ პოეზიაზე გააკეთა განაცხადი პოეზიის ამ საღამოთი.

ჩემს სინდისთან მართალი ვიქნები თუ პირდაპირ ვიტყვი: უფლისგან რჩეულთ თუ ხელეწიფების ლექსის ასეთი ზეიმის გამართვა.

ქუხდა ჭეშმარიტი პოეზია რჩეული კომპოზიტორების მუსიკით აჟღერებული... არა ტაშკვრა-მეთქი, ვამბობ ჩემს ერთ ლექსში, მაგრამ ეს სხვა ტაში იყო, ამ საღამომ სხვაგვარი ტაშის ძალა განმაცდევინა. იდგა ვით დედოფალი პოეტი ქალი სცენაზე და თავმდაბლად, ღირსეულად ეჭირა თავი. ეს დღე არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან.

...და მე, გულწრფელად გეტყვი: – ლომი ხარ, ლომი, ჩემო სულიერო დაიკო მთვარისა!

შოთა ნიშნიანიძე,
21 მაისი, 1991 წელი

პოეტი – ლირიკოსი

მთვარისა კერესელიძის ლექსები ყურადღებას იპყრობს თავისი ლირიზმით, უშუალობით. მთვარისა ჩემი მეგობარია და მე მაქვს საშუალება ხელნაწერში გავეცნო მის ახალ, ჯერ დაუსტამბავ ლექსებს და შევიგრძნო მათი სურნელი. ის რამდენიმე პოეტური კრებული, რომელიც გამოსცა „მერანმა“ არ მოიცავს მთვარისა კერესელიძის პოეზიას სრულად. ის მხოლოდ ნაწილია მისი შემოქმედებისა, რედაქტორების და გამომცემლების მიერ შერჩევით დასტამბული. შემოქმედება კი მთლიანი, ერთიანი, სულ სხვა სურათს იძლევა. როდესაც მთვარისას ლექსების სრული კრებული გამოვა, მაშინ ჩვენს წინაშე წარმოსდგება პოეტი-ლირიკოსი, ამაღლებული ქალური გრძნობების, ფაქიზი სულის, ძლიერი პოეტური აზროვნების შემოქმედი. ეს იქნება სრულყოფილებით მოსილი პოეზია მთვარისა კერესელიძისა.

ნეტავი მალე დადგეს ეს დრო.

ნაზი კილასონია
1974 წელი

მთვარისა კერესელიძე

სად ნახავ დღეს ადამიანს

სად ნახავ დღეს ადამიანს,
მითხარი ადამიანო,
დღეს ყველა ჯურის მასხარა –
ტაკიმასხრობს და ხმიანობს...
მაგრამ ალგეთზე დედანი,
ლეკვებს ისევე ზრდიანო...
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო.

2002 წ.

ელიას მთაზე

ელიას მთაზე უდიადეს, უცხო გამებად...
გრანდიოზული აღიმართა
წმინდა სამება–
გრანდიოზული, საოცარი არისთაღებიც,
და აშრიალდა არე-მარე
ვარდის ბაღებით...
„რა ხელმა ააგო“... კვლავ იტყოდა
გალაკტიონი,
აქ სათნოების და სიმშვიდის
დუღს აწ მირონი...
სვეტიცხოველს და... ალავერდს და...
ილორს, ლომისას...
ტოლს არ უდებსო ეს სამება
მითხარი, შვილო,
მზეი დანათის ოქროსფერი
შემოდგომისა...
და სადაცაა ზეცისაკენ
გაფრენას ცდილობს!
. . .
ელიას მთაზე აღმართული
წმინდა სამება!..

2001.

ერთგვარად მტკივა

დიდი ხმაურით, დიდი ზარით
დიდი ზავთებით,
ისე იოლად ვით ვიწყებით,
აღარ ვთავდებით.
ისე, იოლად ნუ ირწმუნებ,
და ნუ გგონია,
რომ ყველა ჩიტი ბულბული, ან
იადონია.
რაღაც შემშლია, რაც შემშლია
რაც არ შემშლია,
სუყველაფერი ისევ ჩემშია.
ერთგვარად მტკივა, –
მარჯვენა თუ მარცხენა მკლავი,
ერთგვარად მტკივა, მტერს კლავენ თუ
მოყვარეს კლავენ!
ერთმანეთს ტყვიას რომ ესვრიან
იცინის... რუსი,
უკლებლივ ხვდება საქართველოს
ის ტყვია გულში!
დასანანია, როცა ხედავ
ვერაფერს შველი,
როდესაც შვილის, –
მახვილით გკლავენ,
და დამშვიდდება, დაწყნარდება
როს ყველაფერი,
რა მოაშუშებს ნეტავ ამ ჩვენს
მოკვეთილ მკლავებს???
დიდი ხმაურით, დიდი ზარით
დიდი ზავთებით
როგორც ვიწყებით, არასოდეს
აღარ ვთავდებით.

2009 წ. 9. X

ჩემს საუფლოში

ჩემს საუფლოში – იასამნის და
მიმოზების
ქრიან ქარები თეთრი ფრთებით
ანგელოსების, –
ჩემს საუფლოში – ცის მახლობლად,
ცის სილურჯიდან...
ჩემს საუფლოში დღეს მეტია
ერთი გურჯითა!
აქ შრიალია პალმების და კიპარისების,
კამელიები ირხევიან როგორც ნისლები...
ჩემს საუფლოში – რია-რია
დიბა-ატლასთა...
და აბრეშუმის არშიათა ფერად-ათასთა...
მოეფინება ვარდის ბაღებს,
სურნელით მთვრალებს,
ჩემ საუფლოში – ქათქათებს მთვარე!
აქ სილურჯეში იასამნის და მიმოზების –
ქრიან ქარები თეთრი ფრთებით
ანგელოსების!

2009. 2.X

სვეტიცხოვლის აღმშენებელი

თუ ერთი იყო მაინც ყოველი, –
რატომ ავაგე სვეტი ცხოველი?!
ან დღეის დღემდე როგორ მოვედი,
თვალები რისთვის მქონდა სოველი?!
ყველა სიკეთეს ამქვეყნიურს
რატომ ვიკლებდი,
როცა ცხოვრობდნენ სხვები ხრიკებით?
ან ეკლიან გზით რისთვის ვიდოდი,
სისხლით რად ვწერდი სიტყვას –
„მშვიდობით?!
ან დაკაწრული ხელისგულებით,
რატომ მეჭირა რწმენა სრულებით?!.
თუ დღეის დღემდე ასე მოვედი,
დღეს ერთი რატომ არის ყოველი?
და თუ ერთია მაინც ყოველი,
თვალები რისთვის დამრჩა სოველი!
თუკი პატივით სარგებლობს დიდით,
ყველა ორპირი, მლიქვნელი, ფლიდი
ეკლიან გზებზე რისთვის ვეწამე,
ან რად მინდოდა ეს სილერწამე?
ან ამქვეყნიურს რად ვიკლებდი
მუდამ სიკეთეს,
ან ზედაზენზე ფეხი რისთვის
ამოვიკვეთე?
თუ ერთი იყო მაინც ყოველი,
რად მომესაჯა დროში ჩარჩენა!
რატომ ავაგე სვეტი ცხოველი –
ნუთუ მიტომ, რომ მოეკვეთათ
ჩემთვის მარჯვენა?!
იმ მძიმე გზებით მიტომ ვიარე,
რომ დავფენოდი შენს ნაიარევს!..
და თუ გატკეპნილ გზებს ვერ ვიტანდი,
ეს ბედი იყო, ალბათ, ტიტანის!
...და თუ ერთია მაინც ყოველი,
დღეს რატომ ბრწყინავს სვეტი
ცხოველი?
და თუნდაც ჰქონდეს ფორმა კვადრატის
ხომ აღვადგინე მაინც ბაგრატი!
ამინთეთ კვარი სვეტიცხოვლის
ტაძარსა შინა,
იქ, სადაც ჩემი მოკვეთილი
მარჯვენა ბრწყინავს!
განმივრცეთ სული, განმიფინეთ
მაღალ ანძებად!
და სული იგი, სული ჩემი
უკვდავყოფილი,
კვლავ განცხადდება ახალ ტაძრებად!

2002 წ.

ვის რაში უნდა...

უვიცობისკენ თუ დაქანდა
დაღმართზე ერი,
შენ რას უშველი ამ ლექსების
კითხვით და წერით?!
რაც გინდა წერე, წამკითხველი
თუ არ გყავს, მერე, –
რაც გინდა წერე!
რაც გინდა წერე!
ელვარე ხელებს, ვინ შეუშვერს
ლითონის ლავას,
ვინ შეაჩერებს გაფრენილ მერნებს!
ცხოვრება მაინც თავის გზით წავა!
მერე და მერე...
ან რას დაიწერ გულის ფიცარზე
ვის რაში უნდა შენი სიცხოვლე.
ამ ჩვენს ნაჯაფარ გრძნეულ მიწაზე, –
ქართველის ნაცვლად სხვა თუ
იცხოვრებს?!!

22.IX. 2012. წ.

* * *

სისხლს მე დავიდენ გულიდან
ოღონდაც შენ არ გდიოდეს,
თუ გულის ტკივილი არი
გული ისევ მე მტკიოდეს...

პირიმზე ხანძარს გინთებდეს,
– ტყეში ხოხობი ყიოდეს!...
ღმერთმა ნუ ქნას რომ შენს ზვრებში
მგელი და ტურა კიოდეს!

2013 წ.

არც მწყემსი, არცა ნაიბი

არც მწყემსი, არცა ნაიბი,
უცხო ბურუსი, ბინდია,
ადე, მგლის მუხლი მაიბი,
გაგვიძეხ ბერო მინდიავ!
სად ვიყავ, სად არ ვიარე,
ვეძებდი დედა-შვილობას,
ვინ მომიშუშებს იარებს,
გულზე რომ მაზის ჭრილობა!
ადე მგლის მუხლი მაიბი,
გაგვიძეხ ბერო მინდიავ!
ადე, მგლის მუხლი მაიბი,
თორო ქვეყანას ჰყიდიან!

2012

* * *

მშობლიურისგან განსხვავებულს
ვისრუტავთ ნოტებს,
ღამე საძილედ საკინძეს იკრავს,
და ზეთისხილის ჩამოკრეფილ,
მოლურჯო ტოტებს,
გვიქნევს სიცხისგან გათანგული
ადრიატიკა!
ხან იმპერიამ რომაელთა,
– მაკედონიამ,
ბედი ხორვატთა ჟამუკუღმა შეატრიალა!
ხან ბედის განსჯა... ხან ირონია...
და გვეზმანება ძილშიც ნიკო და
ანდრიალა...
ნიკალასავით არ ყოფილან არცა
არჯალი,
როგორც ყვებიან, – არ ყოფილან
თურმე ორპირი,
ქართველებივით ყვარებიათ
ქამარ-ხანჯალი,
და... ფარავს სივრცეს ფიროსმანის
სახის პროფილი!
არ მშურს ევროპის სირთულების,
არც არავისი,
არც ფასკუნჯები დაფრინავენ სადმე
ზღაპრული,
ჯუჯა ნაძვებში შეყუჟული თვლემს
„სოლარისი“,
ადრიატიკის ერთი ნაპირი!

1985 წ.

ჩემს გზაზე ნისლების ფარდები დაეშვნენ...

ჩემს გზაზე ნისლების ფარდები დაეშვნენ,
ჩემს გზაზე წვიმების დაიწყო თარეში...
ჩემს გზაზე... ჩემს გზაზე... შორეულ მხარეში
მივდივარ გლოვის და ყვავილთა გარეშე...
ქარების ქროლვას და ქარების
თარეშში
მე წავალ უცნაურ და უცხო მხარეში!
მე წავალ, მყარია ვიცი ეს ნაბიჯი,
მე გარდავიცვლები ბალახად, არა ხედ,
მე წავალ... მე წავალ...
მე წავალ და... ვიცი
არ მოხვალ, რადგანაც შენ უკვე დამმარხე!
. . .
ჩემს გზაზე ნისლების ფარდები დაეშვნენ!

ბორჯომის ცენტრში ხალხმრავალი აქცია იმართება. ადგილობრივმა მოსახლეობამ ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტა. ისინი ახალციხის პოლიციის ყოფილი უფროსის მამუკა ხვედელიანის გათავისუფლებას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღმკვეთი ღონისძიების სახით ხვედელიანს პატიმრობა არ შეეფარდება, მას შტაბურ აქციებს ყოველდღე გამართავენ. ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრაობა მთლიანად პარალიზებულია.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ხუთი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი 4 ივლისს დაადგინა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს ყოფილი უფროსი მამუკა ხვედელიანი და ამავე სამმართველოს ოთხი ყოფილი თანამშრომელი. საქმის მასალების მიხედვით, მამუკა ხვედელიანს ბრალად ედებოდა, რომ მან გიორგი ბლიაძესთან, ალექსანდრე ბლიაძესთან, სერგო სამსონიძესთან და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ჩაიდინა მოქალაქის ღირსებისა და პატივის შემლახავი მოქმედებები. უზენაესი სასამართლოს მტკიცებით, საქმის არსებითი განხილვისას არც ერთმა ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ სცნო.

„ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იქნა სასამართლო სხდომაზე, არა თუ არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს და დაზარალებულთა ჩვენებებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხავდნენ დაზარალებულთა მიერ მითითებულ ფაქტებს. ამასთან, მოხმობილი საგამოძიებო მოქმედებების (პირის ამოცნობის) ოქმები, რომლებიც მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება გამხდარიყო ბრალდების ნაწილში, შეუსაბამობაში მოდიოდა საგამოძიებო მოქმედების ამსახველ ვიდეოჩანაწერთან, რამაც მტკიცებულებები ეჭვქვეშ დააყენა. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა არ იძლეოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის სტანდარტს. შესაბამისად, სასამართლომ ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და გაათავისუფლა სასამართლო სხდომის დარბაზიდან“, — ნათქვამია უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურატურის ინფორმაციით, ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი სამცხე-ჯავახეთის პროკურორ გივი პაპუაშვილს ურჩევდა, პირის დამცირებაში, არაადამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებაში ბრალდებული პირებისთვის მათი გათავისუფლების პირობით საპროცესო შეთანხმება გაეფორმებინა.

ამასთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში განცხადება გაკეთდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წლის 3 ივლისს ახალციხის რაიონულ სასამართლოში დასრულდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულების მამუკა ხვედელიანის, სერგო სამსონიძის, ალექსანდრე ბლიაძის, გიორგი ბლიაძისა და გიორგი ლომიძის მიმართ. ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ სხვადასხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში. ბრალდების არსი მდგომარეობდა შემდეგში:

2009 წლის 1 იანვარს დაბა ბაკურიანში მომხდარი ინციდენტის გამო ადგილობრივმა პოლიციამ რამდენიმე პირი დააკავა, რომლებიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მამუკა ხვედელიანმა ბორჯომის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანა. სამმართველოში მისვლისას დაკავებულ პირებს მამუკა ხვედელიანის ბრძანებით მოხსნეს ხელბორკილები, აიყვანეს მეორე სართულზე, განათავსეს ცალ-ცალკე ოთახებში, სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ ცემაში მონაწილეობდნენ მამუკა ხვედელიანი და პოლიციელები სერგო სამსონიძე, ალექსანდრე ბლიაძე და გიორგი ბლიაძე.

ერთ-ერთ დაზარალებულს დაუჭირეს ხელები, ჩაუწიეს შარვალი, საჯდომზე მიადეს პლასტმასის ბოთლი და გადაუღეს სურათები როგორც სახეზე, ასევე საჯდომზე. სურათებს მობილური ტელეფონით იღებდა სერგო სამსონიძე. ვინაიდან ცემის გამო მსხვერპლს სახიდან მოსდიოდა სისხლი, იგი პერიოდულად გაჰყავდათ საპირფარეშოში, სადაც ეს უკანასკნელი იბანდა სისხლიან სახეს. ცემისას ალექსანდრე ბლიაძემ მსხვერპლს მარცხენა ყურზე დაადო ანთებული სიგარეტი და ყური დაუწვა.

ამის შემდეგ ნაცემი დაზარალებული პოლიციის ორმა თანამშრომელმა მიიყვანეს მაგიდასთან, გადახარეს და გიორგი ბლიაძეს უთხრეს, რომ მასთან დაემყარებინა სექსუალური კავშირი, რის საპასუხოდაც გიორგი ბლიაძემ აიღო რკინის სკამი და სკამის ფეხი მსხვერპლს უკანა ტანში შეუყვანა. გაუპატიურების შემდეგ კი მსხვერპლი იატაკზე დააგდეს. ამის შემდეგ მამუკა ხვედელიანმა მსხვერპლს უთხრა, რომ გადაღებულ სურათებს ბაკურიანის ცენტრში გამოუქვეყნებდა, თუკი ჭკუით არ იქნებოდა.

2. მეორე დანაშაულებრივი ეპიზოდი, რომელშიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსი მამუკა ხვედელიანი იმხილებოდა, 2011 წლის 27 მაისს მოხდა, როცა დაბა ახალდაბაში არსებულ რესტორან „ბურჯეებში“ პოლიციის მუშაკებმა 2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში ოპოზიციის მიტინგზე ყოფნის გამო უკანონოდ



დააკავეს სამი პირი. აღნიშნული პირები მამუკა ხვედელიანის დავალებით წაიყვანეს ბორჯომის პოლიციის შენობაში, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე დააკავეს ადმინისტრაციული წესით, თითქოს მათ ერთმანეთში იჩხუბეს და სწორედ ამით დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნულ პირებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ერთ-ერთ მათგანს კი ჩაუმტვრიეს ნეკნი.

ზემოაღნიშნულ მომედებათა გამო ბრალდებულებს მამუკა ხვედელიანს, სერგო სამსონიძეს, ალექსანდრე ბლიაძეს, გიორგი ბლიაძესა და გიორგი ლომიძეს ბრალი დაედოთ ისეთ უმძიმეს დანაშაულებში, როგორიცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, პირის დამცირება და იძულება, ასევე არაადამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და განზრახ უკანონო დაკავება.

აღნიშნული ბრალდებები დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით, როგორიცაა ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებები და სხვა, რომლებიც მოპოვებულ იქნა როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების დროს.

ამ საქმის განხილვა რამდენიმე თვე გრძელდებოდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი მისი ინიციატივით, არაოფიციალურ ვითარებაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორს გივი პაპუაშვილს და ურჩია, რომ ბრალდებულებთან გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება მათი გათავისუფლების პირობით, რაც მოსამართლის სიტყვებით ყველასათვის კარგი გამოსავალი იქნებოდა. პროკურორმა მოსამართლის ამ შეთავაზებას უარით უპასუხა, რადგან ბრალდებულ პირთა გათავისუფლება და მათთვის პირობითი მსჯავრის დაწესება არაადეკვატური სასჯელი იქნებოდა მათ მიერ ჩადენილ მოქმედებებთან დაკავშირებით.

2013 წლის 3 ივლისს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილმა მამუკა ხვედელიანის, სერგო სამსონიძის, ალექსანდრე ბლიაძის, გიორგი ბლიაძისა და გიორგი ლომიძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

პროკურატურას ჯერ დასაბუთებული განაჩენი არ მიუღია. განაჩენის მიღების შემდეგ გადაწყდება მისი გასაჩივრების საკითხი“, — განაცხადეს პროკურატურაში.

სწორედ ამ საქმის გამო, ბორჯომში და თბილისში საპროტესტო გამოსვლები იგეგმება, რაზეც კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა გვესაუბრება.

გოგა ხაინდრავა: რას ლაპარაკობს გივი თარგამაძე, ეს ჩამოყალიბებული ბანდიტი, ეგ ვასილიჩი, ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. მე ვფიქრობ, რომ განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ. ეს არის მერაბიშვილის ნარჩენების მიერ განხორციელებული მცდელობა ახალციხეში. კუბლაშვილი, ეს ნაციონალური ობობა, მის ხელში დარჩა ძალიან მნიშვნელოვანი უზურპირებული ნაწილი სასამართლოსი, მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ შევეგუებით. არ ვიცი, ჩვენს უკან რამდენი ხალხი აღმოჩნდება, მაგრამ ამ მოძალადეების, მწამებლების, არაკაცების გარეთ გამოშვება, ეს არის სილის განნა მთელი ქართული საზოგადოებისთვის და მთელი ქვეყნისთვის. ვინც ეს გაბედა, ვინც ისინი გარეთ გამოუშვა, არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს იმ ადამიანს. ამას არავითარ შემთხვევაში არ შევეგუებით. ეს არის წინაპირობა, რომ ყველა მოძალადე იქნეს გამართლებული.

— ასეთი უპრეცედენტო შემთხვევა ძალიან იშვიათი მოგვეპოვება, როდესაც ადამიანმა საკუთარ თავს გადააბიჯა იმისთვის, რომ ქვეყანას და ხალხს ღირსება შეუნარჩუნოს, პირდაპირ გამოვიდა და ღიად და აშკარად განაცხადა ამ უმსგავსობისა და წამების შესახებ. პირდაპირ დაადო ხელი ამ ნაძირალა ხვედელიანს. რამდენი კაცი გვყავს ასეთი საქართველოში, ვინც ამის გაკეთებას გაბედავდა?! ბარაქალა იმ კაცს, ის ვაჟკაცი კაცი ყოფილა. იმ ბაკურიანელ ბიჭს თავის ღირსებაში ეჭვი არ ეპარება. ეს არის წამება, ყურში რომ ფანქარი გაგითხარონ, როგორც დირიჟორ მიქელაძეს გაუკეთეს უშიშროებაში, ეს არის წამება. წამების მსხვერპლები ძალიან იშვიათად ლაპარაკობენ ამაზე, რა პასუხს ვაძლევთ იმ ახალგაზრდა ბიჭს?!

— რა ფორმით მოუწოდებთ მოსახლეობას, რომ არ შეეგუონ ამ ფაქტს?

— ყველა კონსტიტუციური ფორმა უნდა იქნას გამოყენებული. ეს არაა პირველი შემთხვევა, ფაცაცია, მუხაძე, ყაჭეიშვილი, რომლებიც ბრალდებული არიან წამებაში, მათთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

რატომღაც ძალიან სახალისოდ უდგებით ამ არა სახალისო თემას. ეს არის თემა, რომელმაც საქართველოს თავი მოჭრა მთელს მსოფლიოში და ძალიან სათუთად უნდა მოვეპყრათ ჩვენს ღირსებას, ჩვენი შვილების მომავალს, ასეთი თემებით თამაში არ შეიძლება, საპროცესო შეთანხმებებით ადამიანებთან რომლებიც წამებაში ამყოფებდნენ საკუთარ მოქალაქეებს, არანაირი შეთანხმება ამ ბარბაროსებთან არ იქნება.

— რა არის მათი გარეთ ყოფნის მთავარი მიზანი?

— ჩემი აზრით, აქ ზნეობის პრობლემა დგას. ჩვენ თუ ამას შევეგუეთ და მივიღეთ ის, რომ ასეთი ტიპის ადამიანები შეიძლება დაუსჯელები დარჩნენ, ასეთი უმძიმესი სახის დანაშაულზე ჩვენ თუ შემწყნარებლები ვიქნებით, მე არა მგონია, რომ ქვეყანას დიდი მომავალი ჰქონდეს. ახლაც იმისთვის არ გვიბრძოლია მთელი ამ წლების განმავლობაში, ამდენი სიცოცხლე და ოფლი იმიტომ არ დაგვიღვრია, რომ ჩვენი სახელით შეთანხმებები განხორციელდეს და ამას უზენაესი კანონიც ადასტურებდეს. ჩემთვის ის დაწესებულება, სადაც კუბლაშვილი თავმჯდომარეა, არანაირი სამართალთან კავშირში არაა.

— უზენაესი სასამართლო ავრცელებს განცხადებას, რომ საქმის არსებითი განხილვისას საქმის არც ერთმა ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო...

— მანახეთ ბრალდებული, რომელიც თავს დამნაშავედ ცნობს და განსაკუთრებით ძიების პროცესში. ციხეში ნამყოფი კაცი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რომ მისჯის შემდეგაც უარს იძახიან.

ნებისმიერ ხელისუფლებას ჩვენ ფულს ვუხდით, მაგრამ იმიტომ კი არ ვუხდით ფულს, რომ თავის ჭკუაზე გვმართონ. ბორჯომში გამოსვლებია, ხალხი გარეთ დგას, ისინი შიგნით არ შევლენ და ჩვენც მათ გვერდით დავდგებით. ჩავალთ ჩვენც ადგილზე და მათთან ერთად მოვითხოვთ სამართლის აღდგენას. ამ ბრძოლაში დათმობა არ იქნება.

— ხალხს აქციებისკენ მოუწოდებთ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წესრიგი უნდა დავარღვიოთ. კონსტიტუციის ფარგლებში მოვითხოვთ პასუხს და ეს პროცესი არ გაჩერდება, სანამ არ იქნება გარკვეული, რა მოხდა.

თამთა ძარჩავა

დედამიწის ზურგზე

LA MONDE: საფრანგეთი, ისევე როგორც აშშ და დიდი ბრიტანეთი, თვალ-ყურს ადევნებს სატელეფონო და კომპიუტერულ ძსელებს

გამოცემის ცნობით, ფრანგებს აქვთ საკუთარი დაზვერვითი პროგრამა. თვალ-ყურის დევნება მიმდინარეობს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა მიმოწერაზე, აგრეთვე, ფრანგების კომუნიკაციების დროს უცხოელებთან. მიღებულ მონაცემებს საგარეო უშიშროების გენერალური სამმართველო აცნობებს სხვა უწყებებს.

* * *

„სენდის“ გრიგალის დროს დაზიანებული თავისუფლების ძანდაკება კვლავ გაიხსნა მომსვლელთათვის

სახელგანთქმული ქანდაკება რეკონსტრუქციისთვის დაიხურა 2011 წელს, სამუშაოები დასრულდა 2012 წლის ოქტომბერში. მაგრამ თავისუფლების ქანდაკება ის იყო ემზადებოდა ტურისტების შესახვედრად, რომ ნიუ-იორკს თავს დაატყდა უძლიერესი გრიგალი. თავად მონუმენტი არ დაზარალებულა, აი ნავსადგური სასეირნო ზონა და კომუნიკაციები თავისუფლების კუნძულზე საჭიროებდნენ რემონტს.

* * *

ეგვიპტეში ნებადართულია მუსლიმ მომხრეთა პროტესტის მშვიდობიანი აქციები. საგარეო საქმეთა მინისტრმა დაარწმუნა აშშ — ეს არ არის სამხედრო გადატრიალება

სარდლობა მოქალაქეებს აძლევს მშვიდობიანი პროტესტების გარანტიას, მანამ, სანამ დემონსტრაციები არ დაემუქრება ეროვნულ უშიშროებას. „ძმები მუსლიმანები“ უარს აცხადებენ რეჟიმთან თანამშრომლობაზე. ღამით მოხდა პირველი შეტაკებანი სინაიზე. მუჰამედ ელ-ბარადეიმ უარი განაცხადა სათავეში ჩასდგომოდა დროებით მთავრობას.

* * *

ბოლივიის პრეზიდენტი დაიმუძრა დახურულ აშშ-ს საელჩოლა-პასში

„შეერთებული შტატების გარეშე ჩვენთვის უკეთესი იქნება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ჩვენ გვყავს სხვა მოკავშირეები“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა მიტინგზე მომხრეების წინაშე და სამხრეთ ამერიკის ეროვნებათა კავშირის ლიდერების თანდასწრებით.

◎ კონტროლის პალატა

ნაციონალები ნათია მოგელაძეს ვერ ელევიან

პარლამენტში სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვისას, ქვეყნის №1 აუდიტორმა ლაშა თორდიამ პარლამენტარებს განუცხადა, რომ მის უწყებაში მზადდება ჯგუფი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბოლო წლების საქმიანობას შეამოწმებს. ცენტრალური აუდიტორის განმარტებით, ეს უწყება 2006 წლის შემდეგ აღარ შემოწმებულა.

თორდიას განმარტებით თავდაცვის სამინისტროს შემოწმება სახელმწიფო აუდიტისაგან ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს, ამის გამო, ამბობს უწყების ხელმძღვანელი, საკუთრივ ჩვენი ჯგუფის მომზადების პარალელურად გვაქვს კონსულტაციები თავდაცვის სამინისტროსთანაც, რათა შეიქმნას ერთობლივი ჯგუფი, ასევე ერთობლივად მომზადდეს დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ შემმოწმებელთა ჯგუფს გადაეცემა.

აუდიტის თავდაცვის სამინისტროთი დაინტერესება იმითაც არის განპირობებული, რომ ამ უწყებას მილიარდზე მეტი ბიუჯეტი აქვს. აქ არის მთელი რიგი ფარული მუხლები – იარაღის შეძენა და ა. შ. ასე რომ, შემოწმებაზე შესულ ჯგუფს ზღვა სამუშაო ელის, თვლის ქვეყნის №1 აუდიტორი და საჭიროდ მიაჩნია გამოიყოს გარკვეული დრო ერთობლივი ჯგუფის კარგად მომზადებისთვის, რათა ამ ხალხმა მთლიანად მოიცვას თავდაცვისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, ანუ სამინისტროს ბიუჯეტი.

ცნობისთვის, ქვეყნის გენერალურ აუდიტორს, ისევე როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სემეკის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობით პრეზიდენტი ნიშნავს და მისთვის იმპიჩმენტის მოწყობის არავითარი გზები არ არსებობს, უბრალოდ გადარჩევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამის გამო ექსპერტთა და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს აუდიტის სამსახურის უფროსის თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის 2006 წლიდან შესწავლის ინიციატივა, ეს პერიოდი ემთხვევა სააკაშვილის ფავორიტების – კეზერაშვილის, ახალაიას, შაშკინის მინისტრობის პერიოდს. ამ „სამეულის“ მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვს ახალ ხელისუფლებას, სამართალდამცავები კი გასამართლებას უპირებენ.

პროფესიონალთა ინტერესთა საგანი ისიც გახდა, რომ თორდია აპირებს სააკაშვილის „ლუბიმჩიკების“ საქმეების შესწავლას ალასანიას მიერ წარმოდგენილ ჯგუფთან ერთად, რომელსაც ამ უწყებაში მისვლის დღიდან უამრავი დარღვევა და პრობლემა დახვდა. ანგარიშის წარდგენის შემდეგ, პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გამოსულ ქვეყნის მთავარ აუდიტორს ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვა დაუსვეს. ერთ-ერთი იყო არჩევნების წინა პერიოდში პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყოფილი უფროსის, „ქართულ ოცნებაზე“ დაგეშილი ნათია მოგელაძის თაობაზე.

როგორც ჩანს, თორდია სულით ისევ „ნაციონალია“ და თქვა, რომ ნათია მოგელაძე ამჟამად მუშაობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ინსტიტუტის ანტიკორუფციულ ნაწილში კონსულტანტად, (ეს სამსახური კი, კითხვებზე პასუხის გამცემის გადმოცემით, არის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქვეუწყებო დაწესებულება. იგი ამ სამსახურის ანტიკონსტიტუციური ნაწილის თანამშრომელია (ეტყობა, ვერ გაწირა თორდიამ მოგელაძე ან არ გააწირინეს – **ზ. ბ.**). ქვეყნის გენერალური აუდიტორი ამბობს, რომ „ოცნების“ ყველაზე დიდი მტერი ჩაბმულია საერთაშორისო პროექტებში. ამჟამად იგი დაკავებულია საზღვარგარეთ არსებული პრაქტიკის ჩვენს სისტემაში გადმოტანით (მეტი არ იყოს ჩვენი მტერი. არ გათეთრდების ყორანის არ იყოს – **ზ. ბ.**).

თორდიას ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კითხვა იმის თაობაზეც დაუსვა, მოგელაძემ პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსად ყოფნის დროს გამოავლინა რაიმე დარღვევა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დაფინანსების კუთხით თუ არა და თუ ამგვარი რამ მოხდა, რა ზომები იქნა მიღებული.

კითხვის ადრესატმა პასუხის ნაცვლად ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდა იმის თაობაზე, რომ მოგელაძის მაგივრად სამსახურს დღეს ხელმძღვანელობს ზურაბ აზნაურაშვილი.

უმთავრესი აუდიტორი კითხვაზე პასუხს კი გაექცა, მაგრამ, ალბათ, მალე მოუწევს ნაციონალურ ელიტას არა მარტო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და არა მხოლოდ ჟურნალისტებისათვის.

ზაზა ბილიხოძე

P. S. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინათ კონტროლის პალატა პარლამენტის დროებითმა კომისიამ შეისწავლა. ამგვარი კომისია კანონის მიხედვით, ყოველწლიურად იქმნება. „ნაცების“ პერიოდში კომისიები ყოველთვის დადებითად აფასებდნენ კონტროლის პალატის საქმიანობას. მწვავე ფაქტებს კი მხოლოდ ცნობად იღებდნენ. წლეულს კომისიას ხელმძღვანელობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძე. წესით კომისია სამი თვით იქმნება. მაგრამ წელს ისეთი დიდი და საფუძვლიანი დარღვევები აღმოჩნდა, რომ დროებით კომისიას მუშაობის ვადა პარლამენტმა კიდევ 3 თვით გაუხანგრძლივა.

6-თვიანი შემოწმების შედეგად კომისიამ მრავალ დარღვევას შორის გამოჰყო კონტროლის პალატის მიერ აუდიტორული მომსახურებისათვის თვითნებურად დაწესებული უაღრესად მაღალი გადასახადები. მაგალითად, „საქართველოს ნავთობისა და გაზის“ კომპანიას გადაახდევინეს 320 ათასი ლარი. 220 ათასი „შეაწერეს“ საპარტნიორო ფონდს“. ამ თანხის ამოღება ვეღარ მოასწრეს ხელისუფლების ცვლილების გამო. დასახელებული თანხები იხარჯებოდა კონტროლის პალატის მაღალჩინოსანთა კეთილდღეობაზე. რიგით თანამშრომლებს პრემიების სახით შედარებით მიზერულს უწილადებდნენ.

პარლამენტარი გიორგი ცაგარეიშვილი თვლის, რომ კონტროლის პალატის გადაწყვეტილებები მთლიანად პოლიტიკით იყო გაჯერებული. ექვემდებარებოდა პოლიტიკურ კონიუნქტურას და „ნაცების“ კარგად ორგანიზებულ სადამსჯელო სტრუქტურად გადაიქცა. არადა, ეს ორგანო პოლიტიკისაგან შორს უნდა იყოს და წარმოადგენდეს მიუკერძოებელ არბიტრს, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან ხაზინის თანხების ხარჯვის მაკონტროლებელ ორგანოს. პალატის მაშინდელი ხელმძღვანელი და ამჟამად პარლამენტარი ბეჟაშვილი და მისი შეგირდი ნათია მოგელაძე იყვნენ მარიონეტები ადეიშვილის ხელში, – დარწმუნებულია ცაგარეიშვილი და მიაჩნია, რომ ეს მათ პასუხისმგებლობიდან არ ათავისუფლებს. უმრავლესობის წევრს მოჰყავს მოგელაძის ერთი გამონათქვამი, რომ მას ნაკლებად აღელვებს „ქართული ოცნების“ მხრიდან დაჯარიმებულთა ბედი, რადგანაც ამ ხალხს ივანიშვილი დანახარჯებს ორმაგად და სამმაგად აუნაზღაურებს, მოგელაძეს უფრო „ნაციონალების“ დაჯარიმებული წევრები ეცოდებოდა. ასეთი იყო მოგელაძის და მთლიანად კონტროლის პალატის მორალური სახე.

კონტროლის პალატის მუშაობის შესასწავლად დროებითმა კომისიამ რამდენიმე დამოუკიდებელი აუდიტორი დაიქირავა. მათი დასკვნები პროკურატურას გადაეგზავნა, სადაც ამბობენ, რომ დოკუმენტების შესწავლა აუცილებლად მოხდება. მაგრამ როდის, ჯერჯერობით, უცნობია. „ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში ნათქვამი, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე პარლამენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით წარსდგა, საკანონმდებლო ორგანომ უარყოფითად შეაფასა.

ზ. ბ.

◎ მეგობრის წიგნი

თურმე ყველაფერი რჩება!



ყოველმა ადამიანმა სამი მთავარი რამ უნდა გააკეთოს – შვილი (შვილები) აღზარდოს, სახლი ააშენოს და ხე დარგოს...

ჩვენი წინაპრების ეს ბრძნული შეგონება იმდენად თანამედროვეა, რომ ჩვენს დაუნდობელ დროშიც სიცოცხლის ხალისს შემატებს წუთისოფლის ამაოებაზე ჩაფიქრებულ და თითქმის ხელჩაქნეულ ადამიანსაც კი.

სანამ პირში სული გიდგას, თუნდაც ერთი ხის დარგვა, შვილების აღზრდა და მყუდრო ბინის (სახლის) მოწესრიგება მართლაც უდიდესი ადამიანური ბედნიერებაა, მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასია, თუ კაცი ერთი კარგი წიგნის დაწერასაც შეძლებს.

ამირან მითაგვარიამ ეს შეძლო – ღირსეული შვილებიც აღზარდა, ასობით ხეც დარგო, სახლიც ააშენა და შესანიშნავი პუბლიცისტური წიგნიც დაგვიწერა.

დიდი ნიკო ნიკოლაძე პუბლიცისტიკას (ჟურნალისტიკას) პოლიტიკურ მწერლობად მოიხსენიებდა. დასტურ, რომ ასეა... ამირან მითაგვარიას მოგონებათა წიგნი **„ყველაფერი ჩაივლის, ყველაფერი დარჩება“** თანამედროვე პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშია. ავტორი გამოწვლილვით, უშიშრად, კომპეტენტურად მოგვითხრობს მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებზე, რომელთაც მამამისი, გამოჩენილი პედაგოგი და კოლორიტული პიროვნება ნოე მითაგვარიაც შეეწირა.

ავტორს ზღვა მასალა შეუგროვებია და დაუმუშავებია. ასაკში შესულ ჟურნალისტს ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად დაუმახსოვრებია (ეტყობა, დღიურებსაც წერდა!) და საკუთარი ცხოვრება საზოგადოებასთან, დიდ სამეგობროსთან, საგვარეულოსთან და უახლოეს ადამიანებთან მჭიდრო კავშირში განუხილავს. ამიტომაც ეს წიგნი 1937 წლიდან დღემდე, მთელი გრძელი და ტკივილიანი ეპოქის მართალი მატიანეა.

ამირან მითაგვარია დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. დაამთავრა საჯავახოს საშუალო სკოლა. სწავლობდა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიაში. გახდა პროფესიონალი ეკონომისტი. 1956 წლიდან მუშაობდა სამტრედიის რაიაღმასკომში, პარტიის რაიონულ კომიტეტში, იყო დიდი საწარმოს საგეგმო განყოფილების გამგე. 1961 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ქართულ და რუსულ ჟურნალისტიკაში. იყო გაზეთების „ზარია ვოსტოკას“ და „სვობოდნაია გრუზიას“ ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი...

ამირან მითაგვარია დამსახურებული ჟურნალისტია. მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

და მაინც მისი მრავალმხრივი შემოქმედების მთავარი მშვენება მოგონებების ეს წიგნია – სხარტად, დამაჯერებლად, ემოციურად, დიდი სითბოთი დაწერილი.

ამ დღეებში ამირან მითაგვარიას 80 წელი უსრულდება. გულწრფელად ვულოცავთ და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებთ...

სოსო ქოგულაძე



◎ ფორუმი

ქართული ენის მომავალზე ყველა ჩვენგანია პასუხისმგებელი

(მეექვსე გვერდიდან) თავად ფორუმის სახელწოდებაში კრთება პარადოქსის ელემენტი: „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღეო“, რომ ვამბობთ, მშობლიური ენის ბედისწერაა ტერმინოლოგია თუ ხვალ მხოლოდ ტერმინოლოგიაზე უნდა ვიზრუნოთ? პასუხი თქვენთვის მომინდვია...

ლადო პაპავა, აკადემიკოსი:

– ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უთარგმნელად „გადმოდის“ ქართულში არაერთი უცხო ტერმინი, ხანდახან უკვე არსებული ქართულენოვანის განდევნის ხარჯზე.

თანამედროვე ქართული ტერმინების შექმნისა და დამკვიდრების მიზნით უნდა გაძლიერდეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის როლი, რისთვისაც აუცილებელია სპეციალური სამთავრობო გადაწყვეტილების მიღება, რის საფუძველზეც ინსტიტუტს, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, ექნება ტერმინთშემოქმედების ექსკლუზიური უფლება.

ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას დარგობრივი ტერმინოლოგიური კომისიები, რომლებიც დარგის ექსპერტებთან ერთად იმუშავებენ. ამ კომისიების სათანადო რეკომენდაციები კი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარედგინება.

...მკითხველის ნებართვით ერთ „ლირიკულ წიაღსვლას“ მივმართავ: ჩემთვის სასიამოვნოდ, კონფერენციაზე გაიხმიანა „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელმა, როგორც ისეთი გაზეთისა, რომლის რედაქციაში რამდენიმე კარგი მექართულე გვეგულება; რომელშიც მშობლიურ ქართულს ეთმობა საგანგებო რუბრიკა „რა ენა წახდეს“, რედაქცია კი გულისხმიერად ეკიდება მარჯვე ენობრივ სტილისტურ მიგნებებსა თუ მოსახერხებელ ახალ ტერმინებს; და რომ ასე გამოჩნდა გაზეთის გვერდებზე „სახელგანსმენილი“, „ღვთივბოძებული“, „ხატკეთილი“, „მოიავარგა“, „წამომაგონდა“, „უგულისხმიერება“, „სახელდავარდნილი“, „იუვარგისა“, „იშრომგრძელეთ“, „ოთხმოცწლოვანება“ და კიდევ სხვაც.

თამაზ ეგანოიძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ფეხბურთი

უტყუარი ბარომეტრი

ევროპის ლიგის სტარტი ქუთაისის „ტორპედოს“ მესვეურთა მიმართ გამომჟღავნებული აგრესიითა და სამართალდამცავთა მიერ აღშფოთებულ გულშემატკივართა დაშოშმინების ჩვეული მეთოდების დემონსტრირებით აღინიშნა.

ბუნებრივია, კომპანია „ვისოლის“ ამაგი, ფეხზე რომ დააყენა რიონისპირელთა ინფრასტრუქტურა და თავს რომ არის გადაყოლილი სახელოვან კლუბს, ფასდაუდებელია, მაგრამ ქომაგთა პრეტენზიაც გასათვალისწინებელია, რომელიც საყვარელი გუნდისგან ჯიგრიან თამაშსა და ღირსეულ შედეგს ითხოვს. დაგვეთანხმებით, სლოვაკეთის ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსან „ჟილინასთან“ საკუთარ მინდორზე განცდილ ფიასკოს – 0:3 ვერავითარი გამართლება ვერ მოეძებნება.

რაც შეეხება ვნებათაღელვის უშუალო საბაბს, რომელიც „ტორპედოს“ მფლობელთა მიერ სეზონის წინ განხორციელებულ სასელექციო პოლიტიკას უკავშირდება, საქართველოს ჭაბუკთა ერთ-ერთი ასაკობრივი ნაკრების ძირითადი ბირთვის მიწვევა ერთი შეხედვით მისასალმებელი ფაქტია – ბიჭები ხომ უფროსებთან ბრძოლებში უნდა გამოიბრძმედონ, მაგრამ, ვფიქრობ, საამისოდ და სათამაშო პრაქტიკის გასამდიდრებლად ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები უნდა გამოვიყენოთ და არა ევროტურნირების შეხვედრები, სადაც ქართული ფეხბურთის ისედაც შელახული პრესტიჟი დევს სასწორზე.

დავძენთ, რომ, შედარებით მცირე მასშტაბით, იგივე შეიძლება ითქვას საჩხერის „ჩიხურას“ შესახებაც, რომელიც თბილისის „მიხეილ მესხზე“ ლიხტენშტეინის „ვადუცს“(!) დაუზავდა – 0:0. ვაი, სირცხვილო!

გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

30 წუთში ჩატეული ქართული ფეხბურთის ისტორია

კინოს სახლში რეჟისორ გოგი თორაძის ფილმის – „ჩვენი ფეხბურთი“ – პრეზენტაცია გაიმართა. დარბაზში თითქმის ყველა თაობის დინამოელები შეიკრიბნენ, უხუცესი 87 წლის მიხეილ ჯოჯუათი დაწყებული, „დინამოს“ აკადემიის მოზარდებით დამთავრებული. აქ იყვნენ 1964 წლის „ტაშკენტის გმირები“, 1981 წლის თასების თასის მომგებები, უამრავი ლეგენდარული ფეხბურთელი. ფილმი საკმაოდ თბილი და ემოციური გამოდგა. ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა არა მარტო “დინამოს“, არამედ მთელი ქართული ფეხბურთის მდიდარი ისტორია. გოგი თორაძესთან ერთად ფილმის სცენარისტი ჟურნალისტი აკაკი გვიმრაძეცაა.

გოგი თორაძე: „დღეს მაყურებელმა იხილა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ფეხბურთი“, რომელიც მოიცავს პერიოდს გასული საუკუნის დასაწყისის ფოთის ჩანასახიდან დღევანდელის ჩათვლით. 30 წუთში ყველაფერს ვერ ჩავტევდით, მაგრამ შევეცადეთ იმ მთავარ წარმატებებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომელიც ქართულმა ფეხბურთმა მოიპოვა. წამყვანი კახი კავსაძეა. ეს არის ტრილოგიის მესამე ნაწილი. ადრე, მაყურებელმა იხილა ფილმი ქართული რაგბის ისტორიაზე, შემდეგ გადავიღე ქართული კალათბურთის შესახებ და ახლა ქართულ ფეხბურთზე. ვიღებდით ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ასე არცერთი ჩემი ფილმი არ გართულებულა. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ისტორიულ ფილმებში ფულს არავინ დებს, მაგრამ გამოჩნდა ერთი ადამიანი – რომან ფიფია, რომელმაც ყველანაირი დახმარება გამიწია, კიევშიც მიმავლინა დამატებითი საარქივო მასალების მოსაძიებლად და, ფაქტობრივად, დამასრულებინა ეს პროექტი. მანამდე ბევრი ხალხი იყო დახმარებას შეპირებული, მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენი ამბავი, მერე იმალებოდნენ, ტელეფონს აღარ პასუხობდნენ და ასე შემდეგ. საერთოდ, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ უფროს ნოდარ ახალკაცს, ქართული ფეხბურთის საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, ფილმის გადაღების იდეა დაებადა. სამწუხაროდ, თავად ვეღარ მოესწრო, ფილმს კი დაახლოებით 18 წელიწადს ვიღებდით“.

რომან ფიფია (თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი): „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გულშემატკივრის სტადიონზე მოსვლა. დღეს 5 ათასი ადამიანი ძლივს იკრიბება „დინამოს“ თამაშებზე, სირცხვილი არ არის? სულითა და გულით ვეკიდებით საქმეს და გვინდა ღირსეულად გავაგრძელოთ ის ტრადიცია, რომელიც ბმა გოგიმ თავის ფილმში გვიჩვენა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპაშიც. დღეს ჩვენ იმ ზღვარზე ვართ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ღირსეული მოწინააღმდეგის გარეშე ვეღარ განვვითარდებით. დიდი მადლობა ბ-ნ გოგის ასეთი კარგი ნამუშევრისთვის“.

შემდეგ კიდევ ერთმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა რევაზ ძოძუაშვილმა პრეტენზია გამოთქვა, ჩვენი თაობის ფეხბურთელების კადრები რატომ არ მოხვდა ფილმშიო, რაზეც თორაძემ უპასუხა: ძალიან ბევრი ვეძებეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი მატჩების კადრები ვერსად მოვიძიეთო. ამ თემაზე ყურადღება სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემაც გაამახვილა და სინანულით დასძინა, ძველი ფირები, საცავებში თუ ტელევიზიის არქივებში, პრაქტიკულად აღარ არსებობსო.

ფილმის პრეზენტაცია გოგი თორაძეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემაც მიულოცა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ქართული ყვავილი ვერსმოლდის ტურნირის ფინალშია

ძართველი ჩოგბურთელების – ანა ტატიშვილის და სოფო შაფათავას დუეტმა, რომელიც გერმანიის ქალაქ ვერსმოლდში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი) მე-2 ნომრადაა განთესილი, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ტატიშვილმა და შაფათავამ სანყის რაუნდში გერმანელებს – კოპრაჩს და სტოლს 6:1, 6:1 სძლიეს, შემდეგ რუსეთის სახელით მოთამაშე ძალამიძეს და გერმანელ ზაიას 6:2, 6:2 მოუგეს, ნახევარფინალში კი მე-4 განთესვის მქონე ხორვატულ-უკრაინულ დუეტს (ვრლიჩი-ზანიევსკა) აჯობეს – 5:7, 6:1, 6:3.

ფინალში ქართველ გოგონათა მეტოქე ავსტრიულ-სლოვენიურ (კლემენშიცი-კლეპაჩი) და ფრანგულ-ჩეხურ (ფეუერშტეინი-ვორაცოვა) წყვილებს შორის მატჩში გაირკვევა.

თუკი ფინალში ფეუერშტეინი და ვორაცოვა გააღწევენ, ტატიშვილს რევანშის შანსი მიეცემა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთეულთა ტურნირის მერვედფინალში პირველ ნომრად განთესილმა ტატიშვილმა ჩეხ რენატა ვორაცოვასთან 3:6, 6:4, 3:6 წააგო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ავტოსპორტი

„ლოტუსმა“ რაიკონენი მცდარი სტრატეგიით დაალალტა

„ლოტუსის“ გუნდის შეფი ერიკ ბულიე აღიარებს, რომ სილვერსტოუნის რბოლის მიწურულს, გუნდის მიერ არასწორად დაგეგმილმა სტრატეგიამ, კიმი რაიკონენს კვარცხლბეკზე ასვლის შანსი დააკარგვინა. ფინელმა მრბოლმა სტარტი მერვე პოზიციიდან აიღო, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც რბოლას ლიდერი სებასტიან ფეტელი გამოეთიშა, მეორეზე გადაინაცვლა.

ფინიშამდე 10 წრე იყო დარჩენილი, როცა ფეტელის გაჩერებას ტრასაზე პეისკარის გამოსვლა მოჰყვა. ამ მომენტში მის წინ ნიკო როსბერგი იყო, უკან კი ადრიან სუტილი და დანიელ რიკარდო მიჰყვებოდნენ. უფრო უკან მყოფმა მარკ ვებერმა და ფერნანდო ალონსომ საბურავების შეცვლა გადაწყვიტეს, ლუის ჰამილტონს კი რეზინი ცოტა ადრე უკვე შეცვლილი ჰქონდა.

რამდენადაც ტრასაზე პეისკარი იმყოფებოდა და არავინ იცოდა, პილოტებს სარბოლ რეჟიმში რამდენი წრის გავლა მოუწევდათ, „ლოტუსში“ გადაწყვიტეს, რომ კიმი ძველი რეზინითაც შეძლებდა მეორე პოზიციის შენარჩუნებას, მაგრამ მწარედ შეცდნენ. ვებერმაც, ალონსომაც და ჰამილტონმაც ძალიან ადვილად მოახერხეს ყველა მეტოქის ჩამოტოვება და ამავე თანმიმდევრობით მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს, რაიკონენი კი მეხუთეზე დარჩა.

„უსაფრთხოების მანქანის მეორე გამოსვლამდე სტრატეგიამ კარგად იმუშავა, მაგრამ მერე შეცდომა დავუშვით, როცა კიმის ბოქსებში არ ვუხმეთ. აუცილებლად უნდა შემოსულიყო, მაგრამ ჩვენ არ ველოდით, რომ მეტოქეები ახალი რეზინით ასეთ უპირატესობას მიიღებდნენ. ჩვენც უნდა შეგვეცვალა რეზინი, მაგრამ ასე არ მოვიქეცით და წავაგეთ“, – ამბობს ბულიე.

სამაგიეროდ, ის აღნიშნავს, რომ გუნდმა შეძლო მანქანის დახვეწა, განსაკუთრებით მისი აეროდინამიკა გაუმჯობესდა, რამაც კარგად იმუშავა. „უსაფრთხოების მანქანა რომ არა, რბოლა საკმაოდ კარგად ჩავატარეთ. ჯერ ყველაფერი არ გაგვიანალიზებია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრმა სიახლემ, რომლებიც სილვერსტოუნზე გამოვიყენეთ, კარგად იმუშავა და სასურველი შედეგი მოგვცა“, – დასძენს ბულიე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

შიშველი ბლერ ონილი გოლფის ყვანჯს გაუშინაურდა

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იზრდება იმ სპორტსმენ მანდილოსანთა სია, რომლებიც ცნობილი ჟურნალებისთვის შიშვლდებიან და სპორტულ ნიჭთან ერთად თავისი სხეულის ინტიმურ ადგილებსაც აცნობენ და აჩვენებენ საზოგადოებას.

მათ რიცხვს მიემატა ქერათმიანი ამერიკელი ლამაზმანი მეგოლფე ბლერ ონილი, რომელმაც სულ ახლახანს ერთ-ერთი ჟურნალისთვის ყვანჯით ხელში პრაქტიკულად შიშველმა იპოზირა.

ბლერი 13 წლის ასაკიდან დაინტერესდა გოლფით და 2004 წლიდან უკვე პროფესიონალთა ტურნირებში დაიწყო მონაწილეობა. იგი კალიფორნიის შტატის გოლფის ტურნირების მუდმივი მონაწილე და გამარჯვებულია.

როსტომ რაჭველიშვილი

საპარტნიორო ფონდი

ჯერჯერობით რამდენიმე პრიორიტეტი, შემდგომ კი...

მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მკაფიო დასტურია ინდუსტრიულად განვითარებულ ძველ და ამ მხრივ დიდი აღმავლობის გზაზე ახლადგასულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. კაპიტალის, ფასიანი ქაღალდებისა და სავალუტო საერთაშორისო ბაზრებზე არასტაბილური ვითარებაა — ევროპაშიც, ამერიკაშიც, აზიაშიც, რაც ექსპერტებს მეორე დიდი დეპრესიის დადგომას აწინასწარმეტყველებინებს. ამდენად, საქართველოში წლის დამდეგიდან ეკონომიკური ზრდის შენელება, ინვესტიციების შემცირება, რაც ახლანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ხელზე აქვთ დახვეული (თუმცა კი, წლის პირველი ნახევრის წინასწარი შედეგებიც კი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რადგან მონაცემთა დამუშავებას დრო სჭირდება), გასაკვირი ნამდვილად არ არის. ამავე დროს საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების გარდა, ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ სფეროში შიდა მიზეზებიც არსებობს, რასაც სპეციალისტები დარგებში არამართებული პოლიტიკის გატარებით ხსნიან.

ეჭვგარეშეა გარეგანი, რომ ზოგადად ფულადი ნაკადები ბიზნესის საწარმოებლად უფრო მიმზიდველი სფეროებისკენ მიიმართება, სადაც სხვებთან შედარებით პრაქტიკული მოღვაწეობა ბიუროკრატიული და საფინანსო ბარიერებით მინიმუმამდეა შეზღუდული. კომპანია „ისთ გეისთ გრუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი იაშვილის აზრით, საქართველოს ეკონომიკაში ასეთია ენერგეტიკის დარგი, რომლის მიმართ დიდ ინტერესს აღმავლობის გზაზე მდგარი ინდოეთის, ასევე თურქეთის კაპიტალი იჩენს. ინდური კაპიტალის საქართველოს ენერგეტიკით დაინტერესებას ორი მნიშვნელოვანი პროექტი მოწმობს, რომელიც ამჟამად ორმხრივი განხილვის პროცესშია. ეს გარემოება, ექსპერტის აზრით, ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ დარგში დაწყებული რეფორმების მართებულობითაა განპირობებული, თუმცა, კი ამავე დროს, იგი ხაზს უსვამს ერთ გარემოებას, რომელიც ენერგეტიკაში ინვესტიციების შემოდინებას ხელს უშლის. **ესაა, კერძოდ, ასაშენებელი ჰესის თითოეულ მეგავატზე 170 ათასი დოლარის დარეზერვების პირობა, რაც ბევრ ინვესტორს აფრთხობს. თავად განსაჯეთ: საიმისოდ, რომ სახელმწიფოს ჰესის შენების განზრახვა დაუდასტუროს, ყოველ 10 მეგავატზე ამშენებელმა კომპანიამ 1,7 მილიონი დოლარი ხარჯი ცალკე უნდა გასწიოს, ანდა მისი გადახდის გარანტია წარადგინოს. არადა, ინვესტორს დანახარჯი მხოლოდ ჰესის აშენების შემდეგ უბრუნდება და ამ დაბრკოლებას, როგორც აღნიშნეთ, ბევრი ერიდება.** წინა ხელისუფლების დროს დაკანონებული ეს მიდგომა სხვა დარგებშიც არის. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას ორი ობიექტური მიზეზი აქვს: **ერთი მათგანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მეორე — შიდა ბარიერები.**

სწორედ უცხოური კაპიტალის ქვეყნის ეკონომიკაში მოზიდვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა განაპირობეს, კერძოდ, საპარტნიორო ფონდის შექმნა, რომლის ხელშეწყობით ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის დარგებში. ბოლო პერიოდში რამდენიმე მომგებინი პროექტი ხორციელდება, ზოგიერთი დასრულდა კიდეც. თანაც ამ ხნის მანძილზე საპარტნიორო ფონდის მიერ მართულ ორგანიზაციებში საგრძნობლად გაძლიერდა მენეჯმენტი, რასაც სათანადო შედეგი მოჰყვა. თუ კონკრეტულ შედეგებზე ვილაპარაკებით, აღსანიშნავია ახალციხეში, რაბათის ციხის მახლობლად რეგიონში საუკეთესო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის დასრულება, რაც სლოვაკურ კომპანია „ევროკომის“ პარტნიორობით გაკეთდა, პროექტის ღირებულება ხუთი მილიონი დოლარია. ასევე თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორებით მეღორეობის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც წლეულს ნოემბრიდან ამოქმედდება. ამჟამად ბორჯომის რაიონის დაბა ლიკანში, ცნობილი სამთავრობო დასასვენებელი კომპლექსის ტერიტორიაზე, ყაზახ პარტნიორთან ერთად ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსონი“ შენდება. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 38 მილიონი დოლარია. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონის“ მშენებლობა მიმდინარეობს გურჯაანის რაიონის სოფელ წინანდალშიც, რომლის საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 17 მილიონი დოლარია. ყვარელში კი, ილიას ტბასთან, 2,3 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტით კიდევ ერთი სასტუმრო შენდება და ყველაფერი ეს, ერთობლივად, კახეთში მსოფლიოში ბოლო წლებში მეტად პოპულარულ, ეგრეთ წოდებულ „ღვინის ტურიზმის“ განვითარებას მძლავრ იმპულსს მისცემს.

მნიშვნელოვანია ასევე საპარტნიორო ფონდის მოღვაწეობა ენერგეტიკის სფეროში. კერძოდ, დაგეგმილია გარდაბანში თურქეთის, კომპანიის, „ჩალიკ გრუფის“ ხელშეწყობით 230 მეგავატის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც 200 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია მოყვება. ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლებას ხელს შეუწყობს სვანეთში ნენსკრას 210 -მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის აშენება, რაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დახმარებით განხორციელდება. ფონდში ასევე მიმდინარეობს დარგში სხვა პროექტების მოსამზადებელი სამუშაოები.

ცალკე თემაა საპარტნიორო ფონდის სუვერენიტეტულ ფონდად ჩამოყალიბება, რა პროცესში სამთავრობო ჯგუფთან ერთად მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებიც არიან ჩართულნი.

ახალი ორგანიზაცია თავისი არსით, ეგრეთწოდებული „სანტიაგოს პრინციპზე“ დაფუძნებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფონდი იქნება, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის ფუნქციები ერთმანეთისგან მკაფიოდ იქნება გამიჯნული, ამასთან მასში ასევე დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტიცაა გათვალისწინებული.

ამჟამად, სუვერენული ფონდის ჩამოყალიბების სამუშაოები დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს, რომელსაც ექსპერტები ერთობლივი ძალისხმევით პარლამენტში სათანადო კანონპროექტის წარსადგენად შემოდგომისთვის დაასრულებენ.

ოთარ ტურაბელიძე

სს ბიზნეს-ცენტრის „მონტაჟსპეცმშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სს ფოლადკონსტრუქციის გენერალური დირექტორის იური ბარბაქაძის მეუღლის

იზა ნაფეტვარიძე-ბარბაქაძის

გარდაცვლებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 7,8 VII, 17 სთ. გამოსვენება 9 VII, 14 სთ. მისამართი: რუსთავი, ჭავჭავაძის №6. დაკრძალვა თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე.

იუზა და მზია თოფურიები ოჯახით თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ იური ბარბაქაძეს მეუღლის

იზა ნაფეტვარიძე-ბარბაქაძის

გარდაცვლების გამო.

პეკინის ქუჩა №33ა, IV სადარბაზოს მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი ახალგაზრდის

თორნიკე ხიზანიშვილის

გარდაცვალებას და დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ალიან-ჩალიანი

სტიქიამ გაჩიანიც დააზარალა

ხუთშაბათს ღამით მოსული ძლიერი წვიმისა და ქარიშხლის შედეგად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჩიანის მოსახლეობა დაზარალდა.

წვიმისგან დაიტბორა საცხოვრებელი სახლების სარდაფები, ზოგიერთ სახლში კი წყალი შევარდა. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები, დატბორილია ბაღები და ბოსტნები.

მთელი ღამის განმავლობაში სოფელ გაჩიანში სახანძრო სამსახურის ბრიგადები მუშაობდნენ და დატბორილი სახლების სარდაფებიდან და პირველი სართულებიდან წყალს ტუმბავდნენ.

გუშინ დილით სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები შეხვდნენ. მათი განმარტებით, სახლების დატბორვა წლების განმავლობაში გაუმართავმა სანიაღვრე სისტემამ გამოიწვია. სანიაღვრე ჭები ნაგვით იყო ამოვსებული, რის გამოც, სანიაღვრე სისტემამ წვიმის წყალი ვერ გაატარა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის ნუგზარ ჩადუნელის განცხადებით, პირველ რიგში, გაიწმინდება სანიაღვრე სისტემა, რათა წვიმის შემთხვევაში, სოფელი მსგავს მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდეს. სტიქიისგან მიყენებულ ზარალს გარდაბნის გამგეობასთან შექმნილი სპეციალური კომისია დაადგენს.

ბაპტისტები სამთაწყაროელ მუსლიმებს ბოდიშს უხდიან

სამთაწყაროში შექმნილი ვითარების გამო საქართველოში ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი მუსლიმ მრევლს ბოდიშს უხდის.

— დასაგმობია და მე ვწუხვარ, რომ ეს კეთდება ქრისტიანობის სახელით. მე ბოდიშს ვუხდი მუსლიმთა თემს ამ ქვეყანაში და ამ სოფელში, რომ ქრისტიანობის სახელით მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხოფენ, უფლებას არ აძლევენ, ილოცონ ერთ ღმერთზე, რომლის თაყვანისმცემლებიც ვართ ქრისტიანებიც და მუსლიმებიც. ორივეს გვჯერა, რომ ერთზე მეტი ღმერთი არ არსებობს, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარმა, მთავარეპისკოპოსმა მალხაზ სონღულაშვილმა, რომელიც სხვა პირებთან ერთად სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ტრადიციულ ლოცვის პროცესს აკვირდებოდა.

გუშინდელ ლოცვაზე სამთაწყაროში იმყოფებოდნენ სრულიად საქართველოს მუფთის მოადგილე ადამ შანთაძე, ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე და მუსულმანური მრევლის რამდენიმე წარმომადგენელი, სახლახო დამცველი, აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები.

ამასთან, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს, როგორც სოფლის გამგებელ გულო ნადირაშვილთან, ასევე სოფლის მუფთან სულიკო ხოზრევანიძესთან.

პარასკევის ლოცვას არ დასწრებიან სამთაწყაროს მუფთი სულიკო ხოზრევანიძე და მისი ოჯახის წევრები. როგორც მათ განაცხადეს, გასული პარასკევის ლოცვის შემდეგ, დაახლოებით 200-მდე თანასოფლელი მივიდა და დაემუქრა, სოფლიდან წასულიყვენ ან პარასკევობით სამლოცველო სახლში არ მისულიყვნენ.

ასევე ლოცვაზე არ იმყოფებოდა არც ერთი სამთაწყაროელი მუსლიმი. ლოცვაზე ძირითადად სამთაწყაროში სხვა რეგიონებიდან ჩასული მუსლიმები იმყოფებოდნენ.

ინტერპრესი

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა

ბაზრის პრიორიტეტი — თანასწორობა

ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტს ზღვა სამუშაო რომ აქვს, მით უმეტეს, დემაგოგიურ-აგრესიული უმცირესობის არსებობის პირობებში, ყველამ კარგად ვიცით. წინასაარჩევნო დაპირებებიდან ყველაფერი ერთბაშად რომ ვერ შესრულდება, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ესეც კარგად ესმის და გაგებითაც ეკიდება. ამასთან, ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ისეთი კანონის შემოღების გაჭიანურება, რომლის ამოქმედება ეროვნულ ეკონომიკას ფეხზე დადგომაში დაეხმარებოდა, სამამულო ბიზნესს უფრო გააძლიერებდა, ადგილობრივ კომპანიების პოზიციებს კი შიდა თუ გარე ბაზრებზე გაამაგრებდა. ლაპარაკია კონკურენციის ახალ კონცეფციასა და ამასთან დაკავშირებული სამართლიანი კანონის შემოღებაზე.

უნდა ითქვას, რომ ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით სამუშაოები საქართველოს ეკონომიკური განვითარების კვლევით ინსტიტუტში ჯერ კიდევ შარშან დასრულდა. ნაშრომმა საექსპერტო ანალიზიც გაიარა, დადებითი შეფასებაც მიიღო, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსაც წარედგინა, თუმცა კი, მისი განხილვა და, რა თქმა უნდა, შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, მიღება, გაურკვეველ მიზეზთა გამო, ჭიანურდება.

ამ ეტაპზე სამუშაო დოკუმენტის დეტალებზე არავინ ლაპარაკობს, თუმცა კი ხაზს უსვამენ იმას, რომ მასზე მუშაობას ნავარაუდევზე გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ამდენად პარლამენტში მის განხილვას საშემოდგომო სესიაზე უნდა ველოდოთ.

ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღების გაჭიანურებასთან წარმოშობილი გაურკვევლობის გარდა, ექსპერტები იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, რომ ზოგიერთ სფეროში, ბაზრის მონოპოლიებისგან გათავისუფლება და მნიშვნელოვნად გახსნა რეალურად მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მასზე კონტროლის განმხორციელებელი სამსახურის არარსებობის პირობებში მოხდა. ეს, უწინარესად, უწინდელი მონოპოლისტი კომპანიების ლობის ძალის გამოცლასა და, შედეგად, მათი პრივილეგიების გარკვეული, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი შესუსტება მოყვა. სწორედ ამან მისცა ბაზარზე შედარებით თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა შედარებით მცირე და სუსტ კომპანიებს, რასაც კონკურენციის ხარისხის ამაღლება და, შესაბამისად, მათგან რიგ სექტორში ფასების დაწევაც მოყვა. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის განხილვა და მისი კანონად გადაქცევა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა მოხდეს, რადგან ანტიმონოპოლიური სამსახური ის ორგანოა, რომელიც ნებისმიერი ბაზრის მონოპოლიზაციის პრევენციას ახდენს, რითაც ხელს უწყობს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას, რასაც ეკონომიკურის გარდა უდიდესი სოციალური მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება თავად ანტიმონოპოლიურ კონცეფციას, სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მასში ყველა ის საკითხი და პრიორიტეტია გათვალისწინებული, რაც, ზოგადად, სხვა ქვეყნების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობებშია მიღებული. ამ მხრივ **ყველაზე მნიშვნელოვანია ორი გარემოება: ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე კონტროლის განმხორციელებელი მძლავრი სტრუქტურის ჩამოყალიბება და, რაც არსებითია, მისი აპოლიტიკურობა.**

ამ ორი დებულებიდან რომელიმეს მართებულობის რაიმე ზედმეტი განმარტება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. მათი პრაქტიკული ხორცშესხმისთვის კი აუცილებელია სათანადო პოლიტიკური ნება.

ნინო ალექსანდრია

◎ დღესასწაული

შობა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი



7 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იოანე ნათლისმცემლის შობას.

იოანე წინასწარმეტყველი იყო მღვდელ ზაქარიასა და მართალი ელისაბედის შვილი... იოანე ნათლისმცემელი ენათესავებოდა უფალ იესო ქრისტეს. ის იესოზე 6 თვით ადრე დაიბადა.

...როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, მღვდელ ზაქარიას ტაძარში ყოფნისას გამოეცხადა მთავარანგელოზი – გაბრიელი და მას სამომავლოდ ვაჟის შეძენა აუწყა.

და, აი კეთილმსახურ მეუღლეებს, რომლებიც ხანში შესულობამდე შვილის შეძენასა და ნუგეშს მოკლებულნი იყვნენ, ბოლოს და ბოლოს უჩნდებათ ვაჟი, რომელსაც ისინი ლოცვაში დიდხანს ითხოვდნენ.

როდესაც ბეთლემსა და მის შემოგარენში ათასობით ჩვილი ამოწყვიტეს, იოანე სიკვდილს გადაურჩა.

იოანე ნათლისმცემელი ბავშვობაში იზრდებოდა ველურ უდაბნოში... ის თავის თავს დიდი მსახურებისთვის ამზადებდა. იგი უხეშ ტანისამოსს ატარებდა, რომელიც ქამრით ჰქონდა შეკრული და ველური თაფლით და მკალით იკვებებოდა.

წინასწარმეტყველი იოანე უდაბნოს მცხოვრებად დარჩა იქამდე, სანამ უფალმა იესო ქრისტემ იგი ოცდაათი წლის ასაკში მესიის საქადაგებლად არ მოიხმო.

...ამ მოწოდებას დამორჩილებული წინასწარმეტყველი იოანე იორდანეს ნაპირზე გამოცხადდა, რათა ხალხი მომავალი მესიის (ქრისტეს) მისაღებად მოემზადებინა. მდინარესთან რელიგიური განბანისთვის იოანემ იქ შეკრებილ ხალხს მონანიება და ცოდვათა მისატევებლად ნათლობა უქადაგა.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყბინდეთ ვარსებებთან

ბათუმის „შერატონის“ ადმინისტრაციამ სააკაშვილი სასტუმროში არ შეუშვა?

„ალიას“ წყაროს ინფორმაციით, აჭარის მთავრობას, ცენტრალური მთავრობის დავალებით, მიშა სააკაშვილის ბუღალტერისთვის უთქვამს: ამიერიდან „შერატონსა“ და სხვა სასტუმროებში ნებივრობის თანხებს ვერ დაგიფინანსებთო. სააკაშვილს არ დაუჯერებია, ნაღდად მატყუებენ, ასე არ გამწირავენო, რამდენიმე დღის წინ დაუდვია თავი და მაინც მისულა „შერატონში“. იქ უთქვამთ, ან ნაღდი ფული გადაიხადეთ, ან კიდევ გადმორიცხეთო. გადარიცხვა არ მოხერხდა, ნაღდი ფული არ გადაიხადეს და სააკაშვილი ქუჩაში აღმოჩნდა.

„ალია“

პირველი აგვისტოდან გალელებს რუსული პასპორტების აღება მოუწევთ

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში მოსახლეობის აღწერა დაიწყო. ამასთან სოხუმის რეჟიმმა მთლიანად შეაჩერა აფხაზური პასპორტების გაცემა, მიზეზად კი აღმოჩენილი ყალბი პასპორტები დაასახელა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, უკვე 1 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც აღწერა დასრულდება, ისინი ნაცვლად აფხაზეთისა, რუსულ პასპორტებს მიიღებენ.

„რეზონანსი“

ძუთაისის მერია ძუთაის-გაენათის ეპარქიას აღარ აფინანსებს

არავისთვის უცხო არ არის, რომ სახელმწიფო ეკლესიას აფინანსებს. საპატრიარქო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ათეულ მილიონ ლარს იღებს. რაში იხარჯება ეს ფული არავინ განკარგავს. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ, საპატრიარქოს მიერ დახარჯული ფულის შესწავლა მოითხოვა, თუმცა, მათ დიდი მიმდევრები არ გამოუჩნდნენ და მალევე გაჩერდნენ. როგორც ცნობილი გახდა, გასულ წლებში ქუთაისის მერია პირდაპირ აფინანსებდა ქუთაის-გაენათის ეპარქიას, რომელსაც მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი) ხელმძღვანელობდა და რომელიც ღიად გამოხატავდა თავის მხარდაჭერას პრეზიდენტ სააკაშვილისადმი. არჩევნების შემდეგ ქუთაისის მერიამ (აქაც პოლიტიკური ნიშნით) ეპარქიას დაფინანსება შეუწყვიტა.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ მეგობრობის ხიდი

ალაზნის ძახილი: ქართული პოეზიის შედევრები, თარგმნილი რუსი პოეტების მიერ

(პროფ. ვ. ხომერიკის საერთო რედაქციით)

ფონდმა „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობა“ დაასპონსორა კრებულის „ალაზნის ძახილის“ გამოცემა. მასში შევიდა დიდი ქართველი პოეტების 350 ლექსი, თარგმნილი რუსულ ენაზე. ტირაჟის (სულ გამოიცა 2000 ცალად) ნაწილი უფასოდ გადაეცემა საქართველოს სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, მეორე ნაწილი – მოსკოვის სასწავლებლებს. წიგნში

რუსთაველის, გურამიშვილის და ქართული ფოლკლორის ნიმუშების გარდა შესულია მეოცე საუკუნის დიდი ქართელი პოეტები – გ.ტაბიძე, ო. ჭილაძე, შ.ნიშნიანიძე. ფონდის თავმჯდომარის ვ. ხომერიკის სიტყვებით, წიგნმა „ალაზნის ძახილი“ ხელი უნდა შეუწყოს ორი მოძმე ხალხის დაახლოებას, რომლებიც დღეს დიდწილად რთული პოლიტიკური პერიპეტიების მძევლებად იქცნენ. მაგრამ რუსი პოეტებისთვის საქართველო და ქართული პოეზია ყოველთვის იყვნენ შთაგონების წყარო. სწორედ ამიტომ ფონდი გამოუშვებს მეორე წიგნსაც – რუსი პოეტების საქართველოზე დაწერილი ლექსებით, დაწყებული პუშკინიდან დღევანდელ დღემდე.

საქართველოს პოეტებო,
დღეს მე გამახსენდით თქვენ...

ესენინის ლექსები შეიძლება ეპიგრაფად ჩაუყენო დიდებულ გამოცემას, რომელიც ფაქიზად და სიყვარულით შეადგინა პოეტმა და მთარგმნელმა ბ. სინელნიკოვმა.

„ლიტერატურნაია გაზეტა“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მიხო, ეწევი? – ეკითხება თანაკლასელი.
– ვეწევი?
– მამაშენთანაც?
– მამაჩემი რა, გაზის ბალონია, რომ მასთან მოწევა შემეშინდეს?

* * *

ტიპი სასლში კამფეტებით ხელში დაბრუნდა და თავის ოთხ პატარა ბავშვს ეუბნება:

– ვინც მუდამ უჯერებს დედიკოს, არასოდეს არ ეკამათება მას და ყოველთვის ასრულებს მის თხოვნას, ეს კამფეტებიც მისია. თქვენი აზრით, ვინ არის ასეთი?

– შენ, მამიკო! – ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

* * *

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს:

– ნამდვილი კოშმარი და უბედურებაა! ჩემი ქმარი მუდამ თავის ყიფილ ცოლზე ლაპარაკობს...

– ეს არ არის უბედურება... აი, ჩემი ქმარი მუდამ მომავალ ცოლზე საუბრობს.

* * *

ძმრის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ქვრივი მიდის მედიუმთან ქმრის სულის გამოსაძახებლად.

იძახებენ. ისიც მოდის.

– როგორ მიხარია, ძვირფასო, შენი ნახვა! – ეუბნება ცოლი.

– გამარჯობა, როგორა ხარ?

– ჩემი თავი ჯანდაბას, შენზე მომიყევი, როგორა ხარ?

– აქ ისეთი სიწყნარეა! სიმართლე თუ გინდა, აქ ათჯერ უკეთ ვარ, ვიდრე შენთან ვიყავი...

– ოი, როგორ მინდა, რომ მეც შენთან ვიყო მაქ, სამოთხეში!

– რისი სამოთხე, ჯოჯოხეთში ვარ!

* * *

ძმარმა ცოლს საყვარელთან წაასწრო.

– აბა, თქვი, შენს უსირცხვილო თვალებს დაუჯერებ, თუ საყვარელ ცოლს? – ეუბნება ცოლი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24